**...ჩვენ გვგონია, რომ კროსვორდი უნდა იყოს ისეთი, როგორიც ამ გვერდზეა მოთავსებული, თუმცა გამონაკლისების არსებობას ჩვენ ვერ ავკრძალავთ, ანუ — ფეხბურთს ისე უნდა თამაშობდე, როგორც ოდესღაც ამას 1964 და 1981 წლების „დინამოელები“ აკეთებდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს საქართველოში ფეხბურთის გუნდები არ უნდა იყოს...**

**...უბრალოდ მაშინ ფეხბურთის ყურება სიამოვნება იყო და არა ძალისძალად გაყვანილ-გაცდენილი დრო!**

- ნედლეული
- ქართული საკრავი
- მწვანე ბოსტნეული / ლურჯი ქვა
- ქართული ფილმი
- ქალის სახელი
- საფარბების მეტოქე
- (......) კალმანი
- NaCl
- წერილი (ძვ.)
- მარგალიტა ეძახდა ხუტას
- ბრტყელი ნაჭერი
- ღამის დარაჯი (ძვ.)
- იტალიის ქალაქი / ზევსის უფროსი ასული
- ფასიანი საჩუქარი
- სულაკაურის ბიჭუნა
- „ხელოვნური“ მდინარე
- დესპოტი მმართველი
- ტყავი, ქალაქი, მეკარე
- სამხედრო ნადავლი
- ყოფილი პარლამენტის შენობა (საუბ.)
- მოქანდაკის იარაღი
- მკვდარი ენა
- საპარტელი გლეხი
- „ფიატის“ მფლობელი
- „სველი“ ყვავილი
- საპარსული ასო, „პ“
- ქალაქი ალჟირში / მეორე პირი
- ლახტის იარაღი / სანათი
- სითხის დიდი საცავი
- სიმებიანი საკრავი
- ერთი წერტილი კუბზე
- ვლადიკავკაზის გუნდი
- მხლებელთა ჯგუფი
- დათას და
- „დედის“ სითხე
- საზღვარი
- პურის სალენი ადგილი
- ქალაქი გერმანიაში / დედის სიმღერა
- „ბახტრიონშია“ / ნუცუბიძეზეა
- საფრანგეთის ქალაქი
- სარეცხი ფხვნილი
- ბურატინოს ერთ-ერთი მტერი
- აზიის მდინარე, იგივე ნაგჩუ
- სათამაშო ჯოხი / (......) სტორი




- ქრისტე დასაჯა / ნაღვლის სიმცირე
- დიდი მონასტერი
- აიას მეფე
- აშშ-ს იზოლირებული ნაწილი
- რომის პაპი
- წუნი / ლიბიხის საქმე
- მამითადი / ელიავა
- ქალო! – მთაში როსტევანის შვილო!
- სუნიანი ბოსტნეული
- სალათის, მსახიობის
- კოლუმბის გემი
- ნატუტარი / მხეცის ბინა
- ბოქსი / ლამპრის პატრონი
- ლოჟაში გაერთიანებული
- ტურინის მეორე გუნდი
- 901 / წითელი არმიის მარშალი
- ისტორიის მუზა / ინგლ. ეკონომისტი
- გნოლის და დურაჯის კოლეგა
- კანადის დედაქალაქი
- ძახილი საშველად
- ბულბულის გალობა, რაკრაკი
- იაპონური ფირმა
- რაგბის ტერმინი
- არაკი / პუნების ბელადი
- (.......) კასილასი, „რეალი“
- გერდა / ისევ მწვანე ბოსტნეული
- დაბმული ნავი / ცარიელი ჭურჭელი
- ელექტროდი / ტელესერიალი
- ფუჭი, უნაყოფო
- ბგერათა წყობა
- თორელის ველი
- ცეცხლის ინდური ღვთაება
- ნაბიჯით (......)!
- ზღვაოსანი / ადვოკატი
- საკუთარ სახელთა შემსწ. დარგი
- ბრინჯის კერძი
- თბილისის კინოთეატრი
- თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი
- დიდი ედიტი
- მახრჩობელა გველი
- დიდი ფრინველი

ფირნიში
„ბევრი-ს რიცხვი / სკამი
ძველი მანქანების ამორტიზატორი
არის ასეთი სასმელი
ფონდიდან გაიცემა. / ზღაპრული არსება
პანამის ფულის ერთეული
რუსი სექტანტი
ქრისტოფორე კოლუმბის კარაველა
მსოფლიოს უდიდესი სტადიონი
ფრანგი მომღერალი, ჟილბერ...
ბადმინტონის ბურთი / ბრძოლის მანქანა
ძრავაშია
მაიმუნების პლანეტა
მოტოროლა, ნოკია... / დუჩე
ყველაზე ხმაურიანი ჩანჩქერი
ცირკის მოედანი / (...) ხვიჩია
ვულკანური პროდუქტი
მთა პიატიგორსკთან
სამშენებლო მასალა
რუსი ზღვაოსანი / მოკლე დროში
წილი / კალვინიზმის მიმდევარი ინგლისში
„ივერიის“ წევრი / ხელსაწყო
ბარბაროსთა ბელადი
დიდი ტილო / სოფელი თელავის რაიონში
პაუზა
ცხვირის გარსის ანთება
განთიადის ქალღმერთი
ქართული მითოლოგიის პერსონაჟი
რევაზ ესაძის კინოქალაქი
ზღვის ნაწილი რიფსა და კუნძულს შორის
მოზამბიკის დედაქალაქი ესპანელი მხატვარი
შემცოდებელი / (.....)-დიკი (მელვილი
ქვეყნის ნაწილი / მატყუარა, თაღლითი
აკუნა (.......)
ხის სახეობა / ბელადი
ქალაქის ნაწილი / ქრისტიანობისათვის ეწამა
„განძის კუნძულის“ პერსონაჟი
ცალ გვერდზე ცურვის სტილი
თურქი ფეხბურთელი / არაბული ქვეყანა
XX ს. ფრანგი მწერალი
იტალიელი ფეხბურთელი
ჩრდ.ამერიკული ცხოველი, მღრღნელი
როგორც იქნა მოკვდა / ვესწრებით!
ხომალდი
მალაზია თბილისში
აშშ-ს შტატი
ქალის სახელი / ცელქი
გოსპოჟა პუგაჩოვა / კრივის მოედანი
ადამიანის საცხოვრებელი ფართი
ტკბილხმოვანი არსება
სივრცე რაიმე საზღვრებს შორის / ჟალუზი
დანიის ტერიტორიული ერთეული
ფლებიტის, ოტიტის, ცისტიტის
აფხაზეთშია / სარეცხი ფხვნილი
რუმინეთის ფულის ერთეული
კეთილშობილი, ღირსეული ადამიანი
ბევრი მოგვცეთ! / რაიმეს დასაწყისი
ალეგორიული ამბავი
კრიმინალური დაჯგუფება
პარაზიტი მწერი
ირანის ფულის ერთეული
ქალაქი ხორვატიაში
დიდი ზომის თეფში
M.U-ს ლეგენდარული მწვრთნელი
უკრაინის პარლამენტი
(...) პენმანი, ჩოგბურთ. / ქალაქი ქართლში
აფრიკის მდინარე
.......-ენ-როლი
ხის სახეობა
პაუზა
ჟრიამული, (.....)-(.....) / ჩეხური ავტო
ბურთით თამაშის სახესხვაობა
ბიბლიური პერსონაჟი
წამლის ფორმა, იგივე ტაბლეტი
ჯუზეპე ვერდის ოპერა, რომელიც შექმნილია 1870 წელს
აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი
„არტეკი“ თავისი არსით
იგივე გაზი
ფეხბურთში 45 წუთი გრძელდება

# შევერკინოთ ერთმანეთს?! – მეშვიდე ტური

**ვითვალისწინებთ ქულათა და ვნებათა ერთდროულ მატებას და ქალბატონი ქეთევანის დროულ წინადადებას, პასუხების მოსასმენ დროს ვუმატებთ კიდევ ერთ საათს ანუ გელით 23 ივნისს, შაბათს, 11-დან 14 საათამდე. ტელ. 79-53-70, (8-77) 72-61-18**



## თარაზულად:

1. გერმანელ მწერალ-რომანტიკოსს ედუარდ მერიკეს ეკუთვნის ასეთი ალეგორიული მოთხრობა „პრაღაში გზადმიმავალი (ვინ?)“.

4. **საპრიზო კითხვა №1** - როგორი შეიძლება იყოს ცოდნა?

13. ამ სიტყვას ძველ თბილისში გაიგონებთ, ასე ვთქვათ, „პროფესიონალის“ აღსანიშნავად. 14. უკიდურესად საზიზღარი. 15. ვერცხლისწყალთან ან სხვა ლითონთან შერევით მიღებული ხსნარი. 18. იხილეთ (რომაელი) ქალი კროსვორდში და მისი სახელი დაადგინეთ. 19. ონის რაიონის სოფელი. 20. ქალაქი ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში. 23. რა განახორციელა ჯაყომ თეიმურაზ ხევისთავის ოჯახის მიმართ?

24. **საპრიზო კითხვა №2** - ბონდო გოგინავას პერსონაჟი „დათა თუთაშხიაში“.

25. **საპრიზო კითხვა №3** - ყურძნის შემადგენელი ნაწილი.

30. რა სპორტული წარმონაქმნი გაყიდა 1 დოლარად თსუ-ს მხიარულთა და საზრიანთა გუნდმა. 31. „სლავური წარმოშობის“ ამერიკელი მსახიობი მამაკაცი. 32. ქალაქი ჩეხიაში. 36. ფენომენი, რასაც ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი ჰქონდა XX საუკუნის საქართველოში. 37. საცხენოსნო შეჯიბრის სახესხვაობა. 38. მახლობელი აღმოსავლეთის ძირძველი მკვიდრი. 42. იტალიელებისათვის ყველაზე კარგად ნაცნობი ქართული სახელი.

43. **საპრიზო კითხვა №4** - გვარი, რომელიც კარგადაა ცნობილი როგორც ჩვენი ფეხბურთის, ასევე ჩვენი კინოს მოყვარულთათვის.

44. **საპრიზო კითხვა №5** - ფენომენი, რომლის დეფიციტი XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი უშუალო წინაპრების ინტელექტუალურ პროგრესს აფერხებდა.

47. ჯერ აქსაკოვის და შემდეგ მამონტოვის კუთვნილი კულტურული ტრადიციებით მდიდარი ადგილ-მამული მოსკოვის ოლქში.

48. **საპრიზო კითხვა №6** - გეხსომებათ, 70-იან წლებში თემურ ჩხეიძემ „ჯაყოს ხიზნები“ რომ დადგა ტელევიზიაში; მერე საჯაროდ რომ განიხილა მოწინავე ინტელიგენციამ ეს სპექტაკლი და ვერდიქტი რომ იყო ასეთი - „ეს არის (როგორი?) სანახაობა!“(-ო?)

51. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში.

52. **საპრიზო კითხვა №7** - მშვენიერი გალატეას ერთ-ერთი „ანაქრონულ-პერიფრაზირებული“ სახელი.

53. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (აბრევიატურა). 57. ერთ-ერთი ქალაქი, სადაც განვითარდა კვაჭი კვაჭანტირაძის „საქმენი საგმირონი“. 58. ძა-ა-ა-ა-ლიან, ძა-ა-ა-ა-ლიან დახეული. 61. გაიხსენეთ ყველა ჟანა და ერთ-ერთის გვარი ჩაწერეთ. 62. რუსეთის ერთ-ერთი სახელდაბრუნებული ქალაქი. 63. თეატრალური ნაგებობა.

64. **საპრიზო კითხვა №8** - ლაპტევების ზღვაში ჩამდინარე ციმბირის მდინარე

## შვეულად:

2. **საპრიზო კითხვა №9** - ყველაზე ხანგრძლივად ტიტულოვანი ოლიმპიელი მძლეოსნობის ისტორიაში.

3. „მეგაპოლისის“ შტატიანი კროსვორდისტი. 5. სომხური სინამდვილის „ნაცარქექია“. 6. სლავი ქალების სახელი. 7. (ზოგადად) ქალების გასალამაზებელი საშუალება. 8. ისტ. რეგიონი ჩრდ. ადრიატიკაში. 9. მე (~~კროსვორდის ავტორი~~) ტაისონს რომ ვეჩხუბო, როგორი ბრძოლა იქნება ეს? (სხვათა შორის, იგივე მოხდება ტაისონი კროსვორდის შედგენაში რომ შემეჯიბროს!). 10. დღეს „ფანტაზიის“ საყვარელი ქვეყანა.

11. **საპრიზო კითხვა №10** - როგორი შეიძლება იყოს ცული?

12. **საპრიზო კითხვა №11** - რა შეიძლება ქართულად ერქვას ფრინველს, რომლის ლათინური განსაზღვრება ასე ჟღერს - Motacilla cinerea.

16. **საპრიზო კითხვა №12** - ჩეხოვისეული პიესის პერსონაჟი.

17. **საპრიზო კითხვა №13** - ქმედება, რაც ერთ უსიმპათიო ფრინველთან აკუსტიკური კავშირის მიუხედავად, საკმაოდ დადებით ემოციებს და მიზნებს ემსახურება.

21. აღორძინების ეპოქის იტალიელი მწერალი. 22. ალკოჰოლური სასმელი.

26. **საპრიზო კითხვა №14** - ზედწოდება ინგლისელი მეფისა, რომლის ზეობა 1066 წელს დაიწყო

27. რა განსაზღვრავს დათვის ერთ-ერთი ეკზოტიკური სახეობის სახელს. 28. კატა შეიძლება იყოს.... 29. ეს თამაში 1931 წელს ამერიკელმა უმუშევარმა ინჟინერმა ჩარლზ დაროუმ გამოიგონა.

33. **საპრიზო კითხვა №15** - პერსონაჟი, რომლის სამხედრო წოდება მისი როლის შემსრულებელი ჩვენი დიდი მსახიობის გუნება-განწყობილებისამებრ იცვლებოდა სპექტაკლიდან სპექტაკლში.

34. ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი დიდება. 35. გაერთიანების სახესხვაობა. 39. 1982 წ გურამ ფანჯიკიძემ გამოსცა წიგნი - „(.........) იტალია!“. 40. დაძველებული ცხიმის გემო. 41. ჭადრაკის ისტორიაში შესული ერთ-ერთი პატარა ქალაქი.

45. **საპრიზო კითხვა №16** - რა ერქვა საქართველოს ერთ-ერთ კომუნისტურ ლიდერს, ჩარკვიანს?

46. როგორი ქალბატონი ნატო გვყავს კინოში... (რაც მის შთამომავლებს უარყოფით ემოციებს აღუძრავს).

49. **საპრიზო კითხვა №17** - ამერიკელი მოცეკვავე-ქორეოგრაფი ქალბატონი, „მოდერნის“ საცეკვაო სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

50. ძველი ეპოქის პრივილეგირებული წევრი ქართული საზოგადოებისა. 54. გარკვეული მიზნით შექმნილი პერიოდული ორგანო. 55. ჩვენი კინორეჟისორი.

56. **საპრიზო კითხვა №18** - (~~„ფანტაზი-ებ-ის“ გადათვალიერება დაგჭირდებათ)~~ ფრანგი მწერალი.

59. ღვინის ობი. 60. ძველი სატრანსპორტო საშუალება.

**თქვენს პასუხებს მოისმენს**
**ალ ელერდაშვილი**

**ტურნირი გაიმართება რვა ტურად საპრიზო ქულების თანდათანობითი მატებით. გამარჯვებული მიიღებს „მობილურ“ ტელეფონს.**

**– მე-13 ადგილზე გასულს გადაეცემა 3 ვიდეოკასეტა.**

**– „კროსმაისტერთა ლიგაში“ უკვე მყოფი მონაწილეების გარდა სხვა ექვსი საუკეთესო**

**მოასპარეზეც ჩაირიცხება ამ ლიგაში**

**– 18 საპრიზო ქულა კროსვორდიდან.**

**– 12 ქულა საპრემიო კითხვებიდან, სადაც ირჩევთ 6 კითხვას და თითოეულ სწორ პასუხში 2 ქულა გეწერებათ.**

**– და 10 ქულა მოცემული 8 ფოტოს საშუალებით ამოხსნილი მინი კროსვორდიდან.**

**ასე რომ, მეშვიდე ტურში თამაშდება 40 საპრიზო ქულა**

*თარაზულად*: 1. მაკედონია. 5. **მანიპულირება**. 13. აპულია. 14. ტურიშჩევა. 15. **ჭიჭიკო**. 18. ხვალ. 19. მაქსიმოვა. 20. **ტენდერი**. 24. რისლინგი. 25. **ცხონებული**. 26. ებრო. 29. ალგორითმი. 30. **ურანიბორგი**. 33. ლუკა. 34. წინანდალი. 35. რუდანსკი. 38. სტიმოროლი. 39. **კუსტურიცა**. 43. ავრორა. 44. ავრელიანე. 45. ჭვალი. 49. აზნაური. 50. **გექსოგენი**. 51. ზმნა. 54. ალსუ. 55. სმეხოვი. 56. გატა კამსკი. 59. პრაქსიტელე. 60. ტარივერდიევი. 61. ბიჭოს. 62. დაგომეა. 62. ლივადია.

*შვეულად*: 2. **ალუნანსი**. 3. ენიო. 4. **იგუასუ**. 6. არჩევანი. 7. იხვი. 8. ისინდი. 9. ერიკ რობერტსი. 10. ალოე. 11. გამხარებელი. 12. დინმუხამედი. 16. **სამგლოვიარო**. 17. ბერლინგუერი. 21. ბიოლი. 22. ებარი. 23. პოზიტიური. 27. **მიხაილოვი**. 28. ობრაზცოვა. 31. **ეკატერინოსლავი**. 32. კლაუზიუსი. 36. ამიროვი. 37. სტენოგრაფია. 40. **ჰაზარასპი**. 41. რეზერვი. 42. **ფლომასტერი**. 46. **პრიმატი**. 47. ანთარესი. 48. გალისია. 52. სხალთა. 53. **ვარდუა**. 57. ოსლო. 58. **მატე**.

*შესაღგენი სიტყვა* - კროსბრიდინგი.

*15 საპრემიო კითხვა*

1. აჰმედხან-აბუ-ბაქარი. 2. უნგრეთში. 3. კირკოროვი. 4. მანესი. 5. იაკობ როგევენმა. 6. მაო ძე დუნი. 7. გურამ საღარაძეს. 8. ბორისას დაუგევიტისი. 9. 5 000 წლის. 10. მწირი. 11. კამიკაძე. 12. არწივი (ყველა დანარჩენი ბრმაა). 13. იაკობ გრიმს. 14. [illegible] კასტას. 15. თეთრწვერას.

| | | |
|---|---|---|
| 1. | თინა ფურცელაძე | 162 |
| 2. | ლილე აქუბარდია | 159 |
| 3. | ალეკო ალიმბარაშვილი | 155 |
| 4. | ლიანა კუსრაძე | 154 |
| 5. | ელეონორა ფურცელაძე | 152 |
| 6. | ზურა სესიტაშვილი | 143 |
| 7. | იური გაბრიელიძე | 142 |
| 8. | ზაზა ჩეკურიშვილი | 142 |
| 9. | ჯაბუ ბოხაშვილი | 141 |
| 10. | ვაჟა პაპუაშვილი | 134 |
| 11. | დიანა ვართანიანი | 131 |
| 12. | მაია ედიშერაშვილი | 131 |
| 13. | ნინო მჭედლიძე | 131 |
| 14. | მაია ყუბანეიშვილი | 129 |
| 15. | ლიანა ლოლომაძე | 129 |
| 16. | ქეთინო ურუშაძე | 125 |
| 17. | თამრიკო დამენია | 124 |
| 18. | თამუნა შალიკიანი | 123 |
| 19. | გივი გოგოლაშვილი | 113 |
| 20. | თიკო გაბუნია | 110 |
| 21. | მანანა ბუქღულაშვილი | 101 |
| 22. | გიორგი ჩხეიძე | 101 |
| 23. | ცირა პავლიაშვილი | 92 |
| 24. | დავით გაგნიძე | 91 |
| 25. | დავით მაისურაძე | 90 |
| 26. | მარინე ხაჩირაშვილი | 90 |
| 27. | პაატა თალაკვაძე | 89 |
| 28. | ალექსანდრე გიორგაძე | 85 |
| 29. | გიორგი გელოვანი | 82 |
| 30. | მუხრან ბიკაშვილი | 82 |
| 31. | ვახტანგ ნანავა | 82 |
| 32. | ლელა ბუბაშვილი | 73 |
| 33. | ირაკლი გიგაური | 63 |
| 34. | ეთერ მიქაძე | 62 |
| 35. | ნატო მაღლაკელიძე | 55 |
| 36. | ოთო გიორგაძე | 49 |
| 37. | თინიკო ციქურიშვილი | 48 |
| 38. | ნუგზარ ბაჩუკაშვილი | 48 |
| 39. | ვახტანგ ნოზაძე | 33 |
| 40. | სოსო ნიკოლაიშვილი | 32 |

## მეექვსე ტურის შედეგები

მაქსიმუმი - **35 ქულა** - დააგროვეს **მაია ყუბანეიშვილმა** და **ლიანა კუსრაძემ**.

**34 ქულა** მოიპოვეს ლილე აქუბარდიამ და თინა ფურცელაძემ.

**33 ქულა** - ნინო მჭედლიძე.

**32 ქულა** - ზაზა ჩეკურიშვილი, ვაჟა პაპუაშვილი, ალიკო ალიმბარაშვილი. **31 ქულა** - ჯაბუ ბოხაშვილი. **30 ქულა** - ელეონორა ფურცელაძე. **28 ქულა** - ქეთინო ურუშაძე. **26 ქულა** - გიორგი ჩხაიძე, იური გაბრიელიძე. **25 ქულა** - თამრიკო დამენია, დიანა ვართანიანი, თიკო გაბუნია. **24 ქულა** - ლიანა ლოლომაძე, ზურა სესიტაშვილი. **23 ქულა** - პაატა თალაკვაძე. **22 ქულა** - მაია ედიშერაშვილი, თამუნა შალიკიანი. **21 ქულა** - დავით მაისურაძე, ვახტანგ ნანავა, მანანა ბუქღულაშვილი.

*ჩვენი პასუხიც!*
*....და თხოვნაც*

...თუ მიგაჩნიათ, რომ ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები საგანგებოდ რომელიმე მონაწილეებზეა გათვლილი...

...თუ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ არაობიექტურად წარვმართავთ ტურნირს...

...თუ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ე.წ. „მკვდარი სულები“ გვყავს...

- თქვენი ნებაა - გეგონოთ!

- ოღონდ - საშუალება მოგვეცით (*ამ სამართლიანობისაკენ მომწოდებელი ანონიმური ზარების გარეშე*) დავამთავროთ ტურნირი და შემდეგ გაგვასამართლეთ!

# 12 საპრემიო კითხვა

**ვითვალისწინებთ ქალბატონი ნინოს აზრს და 15 კითხვის ნაცვლად კვლავ 12 კითხვას გთავაზობთ; აირჩიეთ ექვსი და გვიპასუხეთ!**

1. ძველ საბერძნეთში ვინმე ვაჭარი თავისი საქმიანობის გაფართოებას რომ დააპირებდა და ახალ სავაჭრო წერტილს რომ გახსნიდა, იქ თავის ვაჟიშვილს აგზავნიდა ხოლმე...

**როგორ ჟღერს ძველბერძნულად სიტყვა „ვაჟიშვილი“?**

2. გუსტავ ფლობერი თვლიდა, რომ ამ მითოლოგიური არსების სახელი ზედგამოჭრილი იქნებოდა ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიისათვის...

**რომელი არსება იგულისხმა დიდმა მწერალმა?**

3. გერმანულ ენაზე ეს სიტყვა გაიაზრება, როგორც „შთამომავლობა“. საუკუნეების განმავლობაში ეს ცნება გამოიხატებოდა ჩიტების, ცხოველების თუ მცენარეების მეშვეობით; შემდეგ გამოიყენეს ნაირგვარი ხრახნები, სასოფლო თუ საზეინკლო ინსტრუმენტები...

**მაშ, რა სიტყვა შეესაბამება გერმანულ ენაში „შთამომავლობას?**

4. მსოფლიო კინოხელოვნების ერთი კლასიკური ნაწარმოები შემდეგი სიტყვებით იწყება - “Это было в то романтическое время, когда женщины были легкомысленны, а мужчины занимались своим любимым делом”

**რა იყო მამაკაცების საყვარელი საქმე იმხანად ამ ფილმის თანახმად?**

**5. რა ერქვა მე-16 საუკუნეში ღვრილ ვენეციანურ მონეტას, რომლის საშუალებითაც ქალაქის ახალი ამბების ამსახველი ფარატინა ქაღალდის შეძენა შეიძლებოდა?**

6. მათი პირველი მასობრივი თავშეყრა 1967 წელს ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში შედგა. ორატორები ტრიბუნიდან გაიძახოდნენ - „დაამსხვრიეთ ყველა ბარიერი, რაც ადამიანთა ურთიერთობას უშლის ხელს. ჩვენი დროშაა სიყვარული! აიღეთ ხელში ყვავილები და ჩადით მდინარის პირას... ყველა სისტემა ლპობითაა გაჟღენთილი...“

**ვინ იყვნენ ისინი?**

7. საბჭოთა კავშირში ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი (...როგორც გვეგონა!); ზუსტად იყო განსაზღვრული თვით საფლავის მიწით ამოვსების დროც, როცა ამ სამარეში პოლიტბიუროს წევრი იკრძალებოდა - ეს პროცესი უნდა გაგრძელებულიყო არაუმეტეს ოთხნახევარი წუთისა...

**რა ედო საფუძვლად საფლავის ამოვსების ზუსტად ამგვარ ხანგრძლივობას?**

8. ეს კუნძული 1493 წელს კოლუმბმა აღმოაჩინა და მას იოანე ნათლისმცემლის (ესპანურენოვანი ვარიანტით) სახელი უწოდა; კუნძულის დედაქალაქს მოგვიანებით „მდიდარი პორტი“ დაერქვა, თუმცა ასწლეულების შემდეგ, ერთ-ერთ რუკაზე ერთმანეთში აურიეს ეს ორი სახელი და ახლა „წმინდა იოანე“ ჰქვია დედაქალაქს, ხოლო კუნძულს - „მდიდარი პორტი“.

**როგორ ჟღერს ეს სახელები დღეს?**

9. ტელეფონსტა, გვარდიელები, ბანკი, ბიბლიოთეკა, მუზეუმების ნაკრები...

**რომელი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობენ ეს გუნდები?**

10. ერთ პოპულარულ საბჭოურ კინონაწარმოებში ამფიბიების კლასის გიგანტურ წარმომადგენელთან მეგობრულ კონტაქტში შევა კატისებრთა ოჯახის ნორჩი წარმომადგენელი...

**...იმედია, შეძლებთ წაგვიდილინოთ ამ მეგობრობის განმსაზღვრელი სიტყვები!**

11. რონალდ რეიგანმა უკვე აჯობა ჰარი ტრუმენს (33-ე) და ჰერბერდ ჰუვერს (31-ე)... მისი ოცნება, ალბათ, მალე ასრულდება და მე-2-საც აჯობებს!

**რით?**

12. ჩვენს მეხსიერებას შემორჩა ერთი ფრაზა, რაც ერთმა ჩვენმა მეგობარმა ქალბატონმა თავისდა უნებურად აფორიზმის სახით ჩამოაყალიბა:

„სხვაობა ჭეშმარიტ ქალსა და ნამ-

***...და კიდევ ერთი სტიმული თამაშის გაგრძელებისა*: ვინც დასკვნით ორ ტურში გასათამაშებელი 90 ქულიდან ყველაზე კარგ შედეგს მიაღწევს, მომავალ საკროსვორდო ჩემპიონატში (სექტემბერი იგულისხმება) +3 ქულით დაიწყებს ასპარეზობას...**


























# იტალიური კროსვორდი

კითხვების პასუხები მოცემული მიმართულებებით ჩაწერეთ და სიტყვებს შორის არსებული ერთი (ან მეტი) გამმიჯნავი შავი უჯრა თავად მოძებნეთ და გააფერადეთ; ყოველი კითხვის შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია ამოსაცნობი სიტყვის ასოთა რაოდენობა

**Columns (down):**

- საერთ. ორგანიზაციის საერთო კრება (8) / სპექტაკლები სხვაგან (10)
- ქართული გაზეთი (4) / ძველი საქართველო (6)
- ტურგენევის ძაღლი (4) / გერმანიის მხარე (7) / მაუგლის გამზრდელი (5)
- მ.ჯავახიშვილი „მართალი (.....) (6) / გერმან. ქალაქი (6) / პუშკინის გადია (5)
- უძველესი თამაში (7) / ჩვენი კინობითი ბოლოსართი (3)
- ხოხბის ბარტყი (4) / დუქინი (7)
- სიმებიანი საკრავი (7) / ილიას მიმდევარი (6)
- თუთიყუშის სახელი (5) / ჩვილი ბავშვი (4)
- პირველი საკვები (3) / გუდრონი (4) / მესამე პირი (3)
- თვალს ეკვრება ხოლმე (5) / „უქარქაშო ხმლების ავტორი“ (8)
- რუსული ესტრადის მომღერალი ქალი (5)
- ხინკალს უხდება (7) / სამნიშნა (3) / იმპერატრიცა (3)
- დაცინვა (6) / (......) შენგელაია (7)
- ძალიან, ძალიან გასუფთავებული ანუ? (9)
- ხევსურეთშია (6) / თბილისშის არის მარხენა და მარჯვენა (8)

**Rows (across):**

- ჩვენი პოეტი (11)
- ალადინის მაიმუნი (3) / პირს არ აქვს (3)
- კმაყოფილი შეიძლება ასევე იყოს (9)
- სადა (6) / სურნელოვანი ნელსაცხებელი (6)
- დეპუტატობის კანდიდატის „საქმე“ (8)
- ძვ. რუსი ფეხბურთელი (8) / ფეხბურთის „ენა“ (4)
- ცეცხლს ახლავს (3) / უდაბნოს სავანე (6)
- ღრუბლების შეჯახებას მოსდევს (4)
- უძველესი ქუთაისი (3) / მთავარი საკვები (4)
- კედლის სანათი (3)
- ესპანელი მხატვარი (4) / თბილისის გარეუბანი (4)
- ჩხოროწყუს რ. სოფელი (5) / თანხმობა (2)
- გიორგი I-ის დროს აშენებული ტაძარი (6) / ჩვენთან (.....) ღმერთი (3)
- შეჯიბრი (7) / „გვადი ბიგვას“ სოფელი (7)
- ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიში (8)
- (.....) გიბსონი (3) / ჰომეროსის პოემა (6)
- ქავჟარაძე (4) / დავით დროიძის ვაჟი (6)
- ძვ. ჩოგბურთელი ქალი, კრის.... (6) / ძალიან დიდი (7)
- დათვის ნაშიერი (4) / ჩოლოყაშვილი (6)
- აზიის სახელმწიფო (5)
- საქართველოს ბულბული (5)
- ქსოვილის ბუსუსი (3)



მეძაღლეობის სპეციალისტი

წრეებით მომიშნული ასოებით შეადგინეთ სიტყვა, რაც ერთდროს პოპულარული გასართობისათვის შეითხზა; პირველი შემდგენელ-დამრეკავი მიიღებს ვიდეოკასეტას (პარასკევი, 14 საათამდე, 79-53-70)

# ეს უცნაური იტალიელები

*ნაწყვეტები მარტინ სოლის წიგნიდან - The Xenophobe's Guide to the Italians*

## ოჯახი

ოჯახი - თავისი ყველა მონაცემით - მთავარი სოციალურ-ეკონომიკურ-ორგანიზაციული და პოლიტიკური უჯრედია იტალიაში.

აქ სიტყვა „ოჯახი“ გაიაზრება, როგორც ვიწრო, ასევე ფართო გაგებით.

ვიწრო გაგებით ოჯახი შედგება შემდეგი წევრებისაგან: მამა - ოჯახის უფროსი, რომელიც მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ოჯახის პატრონობა და ყველა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მისი მოვალეობაა; დედა, რომელიც ითვლება სინამდვილეში ოჯახის პატრონად და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებსაც სწორედ იგი იღებს; ვაჟები - როგორც წესი, გათამამებული არსებები, რომლებსაც არაფერი ესმით ამ ცხოვრებისა და გოგონები - ვაჟების საპირისპიროდ ნაკლებად განებივრებულები, მაგრამ სამაგიეროდ ცხოვრების ყველა წვრილმანში გაქექილები.

ფართო გაგების ოჯახი კი არის საზოგადოების განვრცობილი ერთეული, რაც მთელ სანათესავოს მოიცავს. ნათლობებზე, ქორწილებში თუ დაკრძალვებზე მთელი ჯიში და მოდგმა იყრის ხოლმე თავს და ყოველი ამგვარი თავშეყრა საკმაო მრავალრიცხოვნებით ხასიათდება. ოჯახის წინაშე არსებული ვალდებულება იტალიელისათვის წმიდათაწმიდაა და მის აღსასრულებლად იგი არაფერს დაიშურებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათ თავის გამოჩენა სწორედ სანათესავო წრეში უყვართ. იტალიელი მოკვდება და ვინმე გარე ბიძაშვილის ქორწილში ძველი კოსტუმით არ წავა და არც ძვირფასი საჩუქრის შესაძენად დაინანებს რამეს.

**იტალიური ოჯახი ეს არის მფარველობისა და ურთიერთდახმარების განშტოებული ორგანიზმი**, რაც საჩუქრებისა და პატივისცემის გაცვლა-გამოცვლის რთულ სისტემაზეა დაფუძნებული.

ოჯახის ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა ძალზედ ძნელი და პრაქტიკულად შეუძლებელი რამ არის იტალიელთა უმრავლესობისათვის. „დედიკოს შვილები“ პრაქტიკულად არ შორდებიან მშობლის კალთას და თუ მოშორება დააპირეს, ეს მხოლოდ ქუჩის მოპირდაპირე მხარემდე ან სადმე სამეზობლომდე გავრცელდება. 1998 წელს გამოქვეყნებული სტატისტიკაც ადასტურებს ამ ფაქტებს - იმ იტალიელთა სამიმეოთხედი, რომლებსაც 30 წელი შეუსრულდათ, კვლავაც მშობლებთან ცხოვრობენ!

* * *

**ყოველი დიდი იტალიელი კაცის უკან დიდი იტალიელი ქალი დგას**: ცოლი, საყვარელი და ყველაზე ხშირად - დედა! ყოველი იტალიელი საკუთარ დედას მადონნად თვლის, თავისი თავი კი იესო ქრისტე თუ არა, ღვთის წყალობა მაინც ჰგონია, რაც ღმერთმა ქალებისათვის გაიმეტა.

არავის უკვირს ის ფაქტი, რომ იტალიელ მამაკაცებს უჭირთ მშობლიურ სახლთან განშორება; დედები მათ ისე დაჰკანკალებენ და ისე ანებივრებენ, რომ დედის იქით ცხოვრება მათ ვეღარც წარმოუდგენიათ. დაქორწინების შემდეგაც კი კვირაში ერთხელ ისინი აუცილებლად მიდიან დედიკოებთან, რათა მთელი კვირის მოფერებისა და ალერსის მარაგი მიიღონ.

* * *

იტალიელი ქალები დაბადებითვე მსახიობები არიან. ისინი ოდითგანვე ემანსიპერებულნი გახლავან და ყველგან და ყოველთვის ისე იქცევიან როგორ მოესურვებათ, თუმცა... მათ უფრო ის ხიბლავს, როცა მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ისინი წყნარი, მორჩილი და ადვილად მართვადი ბეკეკები არიან. ეს კი წმინდაწყლის თვალთმაქცობაა, რადგან იტალიურ ოჯახში მბრძანებელი ყოველთვის იყო და არის ქალი! ცოლები თუ საყვარლები კარგად ხვდებიან, რომ მამაკცისათვის მთავარი პრესტიჟია, ამიტომაც ხშირად თავს იკატუნებენ, რომ კაცების ნებაზე დადიან, თუმცა ეს **მხოლოდ მოჩვენებითობაა**.

იტალიელმა ქალებმა მშვენივრად იციან, რომ მათი კაცები ბავშვობიდანვე მიჩვეულნი არიან ნებივრობას, ამიტომაც აშორებენ მათ ცხოვრების სცენაზე პრობლემებთან შეჭიდებას. მამაკაცს არაფერი შეუძლია, გარდა იმისა, რომ კარგად გამოიყურებოდეს, დახვეწილად იმარჯვებდეს ყავის ჭიქას, ბავშვებს რჩევა-დარიგებას აძლევდეს და ეთამაშებოდეს მათ.

ქალები საკუთარ ძალაუფლებას მალულად გადასცემენ ერთმანეთს თაობიდან თაობამდე, მოჩვენებითი მორჩილება კი მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ დროდადრო თავადც გაახსენდეთ, რომ ნაზი და სათუთი ქმნილებები არიან.

* * *

იტალიელ ბავშვებს კი ყოველთვის ყველაფრის უფლება აქვთ მიცემული, გარდა იმ დროისა, როცა ისინი ნასადილევს ორიოდე საათს ძილში ატარებენ. აქ ბავშვები მიჩვეულნი არიან, რომ შუადღის პაპანაქება სიცხე თვლემაში გადაიტანონ და საღამოს მშობლებთან ერთად ქუჩაში სასეირნოდ გავიდნენ. კაცმა რომ თქვას, ნასადილევს არც უფროსები ამბობენ უარს ძილზე, რაც ყველას ერთად საშუალებას აძლევს, რომ საღამოს მხნედ გამოიყურებოდნენ და ენერგიაც მოჭარბებულად ჰქონდეთ.

იტალიელ ბავშვებს უფროსებივით აცმევენ და ცხოვრების ყველა ასპექტსაც ადრეული ასაკიდანვე აცნობენ. ისინი დაჰყავთ რესტორნებში, არ აკლებენ არცერთ რიტუალსა და სანათესავოს თავშეყრას. იტალიაში ბავშვებს (სხვა ევროპელებთან შედარებით) ადრევე უჩნდებათ ზრდასრულთა მოთხოვნილებანი, რასაც ასი პროცენტით ეწყობა ხელი მშობლებისაგან, რომლებიც ძალზედ დიდი მოთმინებით იტანენ საკუთარ ნაშიერთა ნებისმიერ ოინბაზობას.

ერთი იტალიური ანდაზა კი ასეთ სიბრძნეს აფრქვევს: „Ogni scarafone e bello a mamma soja“ (გიჟია თუ დებილია, მაინც დედიკოს შვილია!)

* * *

ფინანსური ძალაუფლება და რეალური ავტორიტეტი კი იტალიურ ოჯახებში უთუოდ წინაპრებს - ბებია-ბაბუებს ეკუთვნით და სწორედ ისინი ანებივრებენ და შთააგონებენ შვილიშვილებს, რომ საჩუქრის მიღების შემდეგ სამაგიერო პატივისცემაზე უნდა იფიქრონ, რათა სიბერეში მათაც მიაგონ სათანადო თაყვანი...

**ასე რომ, იტალიური ოჯახი ურთიერთვალდებულებათა მთელ სისტემას წარმოადგენს!**

(გარძელება შემდეგ ნომერში)




## პატარა ენციკლოპედია
### თემა - „იტალიელი მხატვრები“

**პიერო დელა ფრანჩესკა** (Piero della Francesca) (1420-92) - ადრეული აღორძინების წარმომადგენელი. მის ნაწარმოებებს ახასიათებს განდიდებული ზეიმურობა, კეთილშობილება და ჰარმონია. ავტორი მათემატიკური ტრაქტატებისა „ფერწერის პერსპექტივის“ შესახებ.

**პიერო დი კოზიმო** (Piero di Cosimo) (1462-1521) - ფლორენციული სკოლის წარმომადგენელი. ითვლებოდა პოეტურობისა და ზღაპრულობის შერწყმის ოსტატად.

**პიეტრო და კორტონა** (Pietro da Cortona) (1596-1669) - მხატვარი და არქიტექტორი. გვიანდელი ბაროკოს წარმომადგენელი. ილუზიონისტური მოხატვის ვირტუოზული ოსტატი.

**პიაცეტა** (Piazzetta) (1682-1754) - გვიანდელი ბაროკოს ოსტატი. გამოირჩევა კომპოზიციის სიცხადითა და რბილი შუქჩრდილებით.

**პონტორმო** (Pontormo) იაკოპო (1494-1557) - ფლორენციის სკოლის წარმომადგენელი. მანიერიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**პოცო** (Pozzo) ანდრეა დელ (1642-1709) - მხატვარი და არქიტექტორი. ბაროკოს წარმომადგენელი. ილუზიონისტური მოხატვის ვირტუოზული ოსტატი.

**რაფაელ სანტი** (Raffaello Santi) (1483-1520) - გენიალური მხატვარი და არქიტექტორი. მაღალი აღორძინების წარმომადგენელი. ძირითადი ნამუშევრები: „სიქსტის მადონა“, ვატიკანის ტაძრის სტანცა დელა სენიატურას მოხატულობა, „გალათეას ტრიუმფი“ და სხვა.

**რენი** (Reni) გვიდო (1575-1642) - ბოლონიის სკოლის წარმომადგენელი. გამოირჩევა კომპოზიციის დახვეწილებითა და პერსონაჟთა იდეალიზირებით.

**რიჩი** (Ricci) მარკო (1676-1730) - ვენეციელი მხატვარი. სწავლობდა ბიძამისთან, სებასტიანო რიჩისთან, რომელთან ერთადაც ევროპის სხვადასხვა სამხატვრო ცენტრებში მუშაობდა.

**რიჩი** (Ricci) სებასტიანო (1659-1734) - ვენეციელი მხატვარი. ძირითადად მუშაობდა იტალიასა და ავსტრიაში. ქმნიდა დიდი ზომის ტილოებს. აგრძელებდა პაოლო ვერონეზეს ტრადიციებს XVIII საუკუნეში.

**როზა** (Rosa) სალვატორე (1615-73) - იტალიური ხელოვნების ე.წ. „დემოკრატიული მიმართულების“ წარმომადგენელი. ძირითადად ასახავდა ყოფით სცენებს, მოგვიანებით მის შემოქმედებაში რომანტიულმა განწყობამ იჩინა თავი.

**როტარი** (Rotari) პიეტრო (1707-62) - შეგნებული ცხოვრების ძირითადი ნაწილი გაატარა რუსეთში. მუშაობდა როკოკოს სტილში.

## ემილია-რომანია




Emilia–Romagna

მდებარეობს ჩრდ. იტალიაში, ტოსკანას და ლომბარდიას შორის, ვენეციის სამხრეთით.

**ფართობი** - 22 119 კვ.კმ.

**მოსახლეობა** - 4 მილიონი.

**ადმ.ცენტრი** - ბოლონია (420 000).

- ეს ოლქი 1947 წელს შეიქმნა ემილიასა და რომანიას შერწყმით. ოლქის უმთავრესი ქალაქები მდებარეობს იმ გზის გასწვრივ, რომელიც აერთებს პიაჩენცასა და რიმინის და რომელიც რომის კონსულის მარკუს ემილიო ლეპიდუსის მიერაა გაყვანილი.




# ВЫ БРОСИЛИ КУРИТЬ... А ДАЛЬШЕ?

Американские онкологи подсчитали, какие изменения происходят в организме, после того как потушена последняя сигарета. Выяснилось, что...

**ЧЕРЕЗ 20 МИНУТ:**

- нормализуется кровяное давление;
- нормализуется пульс;
- температура ступней и кистей рук повышается до нормального уровня.

**ЧЕРЕЗ 8 ЧАСОВ:**

- уровень содержания окиси углерода в крови понижается;
- уровень содержания кислорода в крови нормализуется.

**ЧЕРЕЗ СУТКИ:**

- снижается риск сердечного приступа.

**ЧЕРЕЗ ДВОЕ СУТОК:**

- начинают восстанавливаться нервные окончания;
- улучшаются обоняние и вкус.

**ЧЕРЕЗ ДВЕ НЕДЕЛИ (ДО ТРЕХ МЕСЯЦЕВ):**

- улучшается кровообращение;
- становится легче ходить;
- деятельность легких увеличивается на 30%.

**ЧЕРЕЗ ОДИН МЕСЯЦ (ДО ДЕВЯТИ МЕСЯЦЕВ):**

- уменьшаются кашель, закупорка легочного ствола, утомляемость, одышка;
- в легких восстанавливаются реснички, которые помогают очищать легкие от инфекции и мокроты;
- повышается общая энергетика организма.

**ЧЕРЕЗ ОДИН ГОД:**

- вдвое уменьшается риск коронарной недостаточности (ведущей к ишемической болезни сердца и к инфаркту миокарда).

**ЧЕРЕЗ ПЯТЬ ЛЕТ:**

- почти вдвое снижается уровень смертности от рака легких среди тех, кто раньше выкуривал по 1 пачке сигарет в день;
- через 5-15 лет степень риска инсульта снижается до уровня некурящего; вдвое снижается степень риска рака горла, полости рта и пищевода.

**ЧЕРЕЗ ДЕСЯТЬ ЛЕТ:**

- уровень смертности от рака легких такой же, как у некурящих;
- предраковые клетки заменяются на здоровые;
- снижается степень риска раковых заболеваний полости рта, горла, пищевода, мочевого пузыря, почек и поджелудочной железы.

**ЧЕРЕЗ ПЯТНАДЦАТЬ ЛЕТ:**

- степень риска коронарной недостаточности такая же, как у некурящих.

# პატარა ენციკლოპედია

## თემა – „ფრანგი მწერლები“

**რეტიფ დე ლა ბრეტონი** (Retif de la Bretonne) (1734-1806) - მიწათმოქმედთა უტოპიური ყოფის გალმერთება რომანში „საშიში ქალაქი“. ავტობიოგრაფიული ფსიქოლოგიური რომანი „ბატონი ნიკოლა ანუ ადამიანური გულის მხილება“.

**რობ-გრიიე** (Robbe-Grillet) (დ. 1922) - მწერალი და კინორეჟისორი. განათლებით ინჟინერი-აგრონომი. ფრანგულ ლიტერატურაში „ახალი რომანის“ წარმომადგენელი. კინოხელოვნებას მიმართა მას შემდეგ, რაც ცნობილი მწერალი გახდა.

**როლანი** (Rolland) რომენ (1866-1944) - ავტორი რომან-ეპოპეისა „ჟან-კრისტოფი“ (1904-12), სადაც 1-ლი მსოფლიო ომის დროს კულტურის დაცემის ფონზე გენიალური მუსიკოსის ცხოვრებაა ასახული. ეკუთვნის მხატვრული მემუარები მიქელანჯელოს, ლ. ტოლსტოის. მაჰათმა განდის, ბეთჰოვენის შესახებ.

**რომენი** (Romains) ჟიულ (1885-1972) - მრავალტომიან ეპოპეაში „კეთილი ნების ადამიანები“ ასახულია საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის ცხოვრება.

**როსე** (Rosset) ფრანსუა დე (1570-1609) - პოემა „ფილიდას 12 სამშვენისი“, ნოველების კრებული, თარგმანები ძველბერძნულიდან.

**რუსელი** (Rousse) რემონ (1877-1933) - სიურრეალიზმის წინამორბედი; „ახალი რომანის“ ერთ-ერთი სულიერი მამა.

**რუსო** (Rousseau) ჟან-ჟაკ (1712-78) - მწერალი და ფილოსოფოსი, განმანათლებლობის ეპოქის უდიდესი მოაზროვნე. სენტიმენტალიზმის წარმომადგენელი. აკრიტიკებდა ოფიციალურ ეკლესიას. ძირითადი ნაწარმოებები: „ენციკლოპედია“, „ემილი ანუ გრძნობათა აღზრდა“, „ახალი ელოიზა“ და სხვა.

**სადი** (Sade) დონასიენ ალფონს ფრანსუა დე (1740-1814) - მარკიზი. 1772 წელს დააპატიმრეს გარყვნილების ბრალდებით. 1790 წ გაათავისუფლეს და მას შემდეგ გამოსცა რამდენიმე წიგნი, რაც ძალადობის, სისასტიკის და პათოლოგიური ეროტიკის ქადაგება იყო. 1803 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სულით ავადმყოფთა სამკურნალოში იყო გამოკეტილი.

# 1000 კურიოზი

450. <u>*АФОРИЗМ*</u>:

***Красное вино полезно для здоровья. А здоровье нужно, чтобы пить водку.***

451. ორი ტურისტი შედის სასტუმროში, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, დიდი კომფორტით არ გამოირჩევა.

- რა ღირს ოთახი ამ საღორეში? - ეკითხებიან ისინი პორტიეს.

**პორტიე**: - ერთი ღორისთვის - 30, ორისთვის - 60!

452. СТИХ:

**Я спросил у ясеня - “где моя любимая?”**
**Ясень не ответил мне, голову склонил.**
**Я спросил у тополя, “где моя любимая?”**
**- Ты б еще у тумбочки, идиот, спросил...**

453. ერთი ჩვენი მთიელი რუსეთში ჩავიდა და რუსული არ იცის. ვიღაცამ ასწავლა - როცა მოგშივდება, თქვი - **Макароны хочу!**

...ორი კვირა მაკარონს ჭამდა და მობეზრდა... მივიდა მასწავლებელთან და შესჩივლა; მან ისევ ასწავლა: ახლა თქვი - **Рыбу хочу!**

შევიდა ჩვენი მთიელი ბუფეტში და ეუბნება - **Рыбу хочу!**

მებუფეტე:

- **Вам какую - жаренную, варенную, пареннную?**

დაფიქრდა მთიელი: - **Макароны хочу!**

454. **რეკლამა**

„მე მინდორში ომის შემდეგ დარჩენილ ნაღმებს ვეძებ და ძალზედ მსიამოვნებს, როცა ჩემთვის პურზე წასმული რამა მოაქვთ. თუმცა ძალზედ მწყდება გული, რომ ჩემამდე ჯერ ვერავინ მოაღწია.



# პიერ ბული

*გაგრძელება*
*დასაწყისი „ფანტაზია“ № 11-ში,*
*თარგმნის ალ.ელერდაშვილი*

# *Pierre Boulle* - Planete des Singes

*Paris, 1962*

ზირას მორალური მხარდაჭერა ჩემთვის აუცილებელი იყო, რადგან ვგრძნობდი, რომ ნერვები სათანადოდ არ მქონდა მოწესრიგებული. კონგრესზე წარმოსათქმელ სიტყვას მთელი ღამე ვკითხულობდი და ზეპირადაც კი შევისწავლე. ჩემს სიტყვას ყველაზე ბრიყვი და გაჯიუტებული ორანგუტანებიც კი უნდა დაერწმუნებინა, რომ მოაზროვნე არსება ვიყავი, მაგრამ მთავარი საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ, შესაძლოა, ჩემთვის სიტყვის თქმის უფლება საერთოდ არ მოეცათ.

გორილებმა საბარგო მანქანაზე დამაგრებულ საგანგებო გალიაში შემაგდეს, სადაც ჩემს გარდა, კონგრესზე წასაყვანი კიდევ რამდენიმე ადამიანი იყო, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, ნორმიდან გადახრას ავლენდნენ და ამდენად მიმდინარე ღონისძიებაში მონაწილეთათვის საინტერესონი უნდა ყოფილიყვნენ. მცირე ხნის მგზავრობის შემდეგ ერთ მაღალგუმბათიან შენობას მივუახლოვდით. დარაჯებმა ჩვენ მთავარი შენობის გვერდით განლაგებულ დამხმარე ნაგებობაში შეგვიყვანეს და რკინის გალიებში ჩაგვკეტეს. ჩვენ აქ უნდა მოგვეცადა, ვიდრემდე სწავლული მაიმუნები ჩვენს ნახვას არ ინებებდნენ. დროდადრო ჩვენს გალიებთან ერთი უზარმაზარი, შავ მუნდირში გამოწყობილი გორილა მოდიოდა და ამა თუ იმ ნომრის ამოძახების შემდეგ ჯაჭვზე გამობმული ადამიანი შეჰყავდა მთავარ დარბაზში. ამ შავმუნდირიანი შვეიცარის ყოველ გამოჩენაზე გული ისეთი სიშმაგით მიწყებდა ძგერას, რომ მკერდიდან ამოხტომას აღარაფერი აკლდა. იმ მთავარ დარბაზში კი ისეთი გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა, რომ ერთმანეთში არეული ნაირგვარი ხმები და აპლოდისმენტები ჩემს სმენამდეც კი აღწევდა.




ყველა იმ ადამიანს, რომელიც კონგრესს წარუდგინეს, დაუყოვნებლივ აბრუნებდნენ ინსტიტუტში და ვიდრე მე მეცნიერ-მაიმუნთა წინაშე წარმოსათქმელ სიტყვას კიდევ ერთხელ ვიმეორებდი გონებაში, გალიებში აღარავინ დარჩა, ჩემს გარდა; ასე რომ, როცა შვეიცარი შემოვიდა, ჩემი ნომრის გარდა დასაძახებელი აღარ ჰქონდა და მეც წინასწარ გავემზადე წასასვლელად და ჯაჭვი თავადვე მივიმაგრე კისერზე გამოღებულ საბელზე.

ორი გორილის თანხლებით ამაყად შევაბიჯე კონგრესის დიდ დარბაზში და, როგორც კი ფეხი შევდგი იქ, გაოგნებისაგან ერთ ადგილზე გავქვავდი.

* * *

სორორაზე მოხვედრის დღიდან ბევრი უცნაური და განსაცვიფრებელი სცენა მქონდა ნანახი; ასე მეგონა, რომ მაიმუნებსა და მათს ცხოვრების წესს ისე მივეჩვიე, რომ აღარაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ იმ ზღაპრულ გრანდიოზულობას და ამაოებას, რაც ჩემს თვალწინ გადაიშალა კონგრესზე შესვლის შემდეგ, ვერაფერი შეედრებოდა ბეთელჰეიზეს ცისქვეშეთში. ირგვლივ გადაშლილმა სანახობამ თავბრუ დამხვია და მე - ვინ იცის მერემდენედ - ვკითხე საკუთარ თავს - კოშმარული სიზმარი ხომ არ არისმეთქი ეს ყველაფერი?

მე გიგანტური ამფითეატრის ფსკერზე აღმოვჩნდი; ეს ამფითეატრი ჩემი სულელური შედარების თანახმას დანტეს ჯოჯოხეთს წააგავდა, სადაც ყველა სკამი, ჩემს ირგვლივ და ჩემს ზემოთ, ათასობით მაიმუნის მიერ იყო დაკავებული. არა, ათასობით კი არა, ათი ათასობით! ცხოვრებაში ჯერ არასოდეს მენახა ერთად შეყრილი ამდენი მაიმუნი.... დედამიწელი ადამიანის ყველაზე ავადმყოფურ წარმოსახვასაც კი არ შეეძლო წარმოედგინა ამგვარი ბრბო პრიმატებისა, რამაც მე საოცრად დამთრგუნა და... მგონი, მეტყველების უნარიც კი დამაკარგვინა.

თავბრუსხვევასთან ჭიდილში ვცდილობდი ამ მაიმუნურ ჯოჯოხეთში გზა გამეკვლია, მაგრამ სანამ მე თავად მოვახერხებდი ამას, გორილებმა დარბაზის ცენტრისაკენ წამათრიეს და ცირკის არენის მსგავს მოედანზე დამაყენს, რომელზედაც მომხსენებლისათვის კათედრაც კი იყო გამზადებული. თვალი მოვავლე მთელ დარბაზს და შევნიშნე, რომ მაყურებელთა დარბაზის რიგები თვალისათვის მიუწვდომელ სიმაღლემდე იყო აღმართული.

ქვედა რიგებში კონგრესის წევრები ისხდნენ; ყოველი მათგანი სახელოვან მეცნიერად ითვლებოდა და სამოსითაც განირჩეოდნენ ისინი - მათ ზოლიანი შარვლები და მუქი რედინგტონები ეცვათ და ყველას ნარგვარი ჩინ-მედლები უბრწყინავდათ მკერდზე; თითქმის ყოველი მათგანი დაბრძენებული ასაკის ორანგუტანი გახლდათ, თუმცა თითოოროლა გორილა და შიმპანზეც მოჩანდა მათ შორის. შევეცადე კორნელიუსი დამენახა ამ მეცნიერთა შორის, მაგრამ იგი არსად იყო.

კონგრესის წევრთა ზურგსუკან, ბარიერის იქით, საგანგებოდ იყო მოწყობილი ადგილები ნაირგვარ თანაშემწე-ასისტენტთათვის. ამავე დონეზე იყო განლაგებული ლოჟები პრესის წარმომადგენლების და ფოტორეპორტიორებისათვის. უფრო ზემოთ კი, მეორე ბარიერის მიღმა, აურაცხელი მაყურებელი იჯდა. იმ მოულედნელობით გაჯერებული გუგუნიდან გამომდინარე, რაც ჩემს გამოჩენასთან ერთად დარბაზს მოედო, სიტუაცია უკიდურესობამდე იყო დაძაბული.

შევეცადე ზირა დამელანდა ასისტენტებს შორის, რადგან მისი ერთი გამოხედვაც კი ძალასა და მხნეობას შემმატებდა, მაგრამ აქაც იმედგაცრუება მელოდა - ამ სატანური სახეების უზარმაზარ ბრბოში არცერთი ჩემთვის ნაცნობი მაიმუნი არ მოჩანდა.

ასეა თუ ისე, თავი ხელში ავიყვანე და მეცნიერების ქურუმებსაც შევავლე თვალი. რიგითი მაყურებლისაგან განსხვავებით ეს პატივცემული მოგვები წითელი ხავერდით გადაკრულ სავარძლებში ისხდნენ. ყოველი მათგანი წვეთი წყალივით ჰგავდა ჩემს ნაცნობ ზაიუსს. ისინი პიუპიტრებზე თითქმის თავდაყრდნობილნი, გრძელი თათებით და ბრძნული სახით რაღაცას წერდნენ... ან ეგებ პატარა ეშმაკუნებსაც ხატავდნენ... ვინ იცის?! ეს არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ მრავალრიცხოვანი აფორიაქებული მაყურებლისაგან განსხვავებით, მათ ბრიყვულად გაქვავებული სახეები მოუჩანდათ, თუმცა რაწამს დამინახეს მე, არენის ცენტრში მდგომი, მათაც მღელვარება დაეტყოთ, რადგან რადიოს მიერ წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი ჩემი უცნაურობების შესახებ. უფრო მეტიც - სამი ორანგუტანი ადგილიდანაც კი წამოხტა და ისეთი გაოგნებული თვალებით დამიწყეს მზერა, თითქოს ღრმა ძილიდან ვიღაცამ ძალით მოაბრუნაო ამქვეყნად.

ერთი სიტყვით, თვლემისათვის აღარავის ეცალა. როგორც ჩანს, მე იმდღევანდელი პროგრამის მთავრი პირი ვიყავი... ათიათასობით მაიმუნის თვალი უკვე ჩემსკენ იყო მომართული და მოლოდინით აღსავსე დუმილიც ნელინელ ისადგურებდა დარბაზში.

ლაქია გორილებმა მაიძულეს პატარა ფიცარანგზე ავსულიყავი, რომლის ცენტრშიც უზარმაზარი მამრი გორილა იჯდა. ზირას ნათქვამი ჰქონდა, რომ ახალი წესების თანახმად კონგრესს ხელმძღვანელობდა არა რომელიმე მეცნიერი ორანგუტანი, არამედ გორილაადმინისტრატორი და ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საკუთარ ნებას მინდობილი სწავლულები გაუთავებელ დისკუსიებს მართავდნენ და რაიმე საერთო დასკვნამდე ვერასოდეს მიდიოდნენ. შემზარავი გორილას მარცხნივ მისი მდივანი შიმპანზე იჯდა, რომელიც წერით იყო გართული, მარჯვნივ კი ცარიელი სავარძელი იდგა, რომელშიც რიგრიგობით მომხსენებლები იკავებდნენ ადგილს. ამჯერად ზაიუსს უხმეს და იგი აპლოდისმენტების თანხლებით თავისუფალი სავარძლისაკენ გაეშურა. მძლავრი მიკროფონებისა და პროჟექტორების წყალობით თვით უკანასკნელ რიგებში მჯდომი მაყურებელიც მშვენივრად ერკვეოდა იმაში, რაც ცენტრალურ ესტრადაზე მიმდინარეობდა.

თავმჯდომარე გორილამ ზარი ააწკარუნა და სრული სიჩუმის დადგომის შემდეგ გამოაცხადა, რომ სიტყვა ეძლეოდა ღრმადპატივცემულ აკადემიკოს ზაიუსს, რათა კონგრესისათვის წარედგინა ადამიანი, რომლის შესახებაც უკვე გაკეთებული ჰქონდა მოხსენება. მეცნიერი ორანგუტანი წამოდგა, თავაზიანად დაუკრა თავი კონგრესის მონაწილეებს და ალაპარაკდა. სანამ იგი თავის აზრებს აფრქვევდა, მე ვეცადე მაქსიმალურად თავდაჭერილი ვყოფილიყავი და მხოლოდ ჟესტებით გამომემჟღავნებინა საუთარი გონიერება. ასე მაგალითად, როცა ზაიუსმა პირველად მახსენა, მე მკერდზე მივიდე ხელი და პატივისცემის ნიშნად თავი დავუხარე აუდიტორიას, რამაც განუზომელი სიცილ-ხარხარი გამოიწვია დამსწრეთა შორის. კვლავ აწკარუნდა თავმჯდომარის ზანზალაკი და კვლავ ნელინელ დამყარდა წესრიგი, რამაც მიმახვედრა, რომ ამგვარი ჟესტებით სასიკეთოს ვერაფერს მივაღწევდი - ნებისმიერი ჩემი გონივრული ქმედება აღიქმებოდა, როგორც კარგი გაწვრთნის შედეგი. ამიტომაც ზაიუსის მოხსენების დასრულებამდე ოდნავადაც აღარ შევტოკებულვარ.

ზაიუსმა ბოლოს საკუთარი დასკვნებით შეაჯამა სიტყვა და განაცხადა, რომ ახალა ჩემი ნაირგვარი შესაძლებლობის დემონსტრირებას მოახდენდა. მისი საძაგელი ექსპერიმენტებისათვის კი ამასობაში უკვე მოემზადებინათ ყველა ინვენტარი. ზაიუსმა ისიც აღნიშნა, რომ მე, ზოგიერთი ფრინველის მსგავსად ცალკეული სიტყვების წარმოთქმაც შემეძლო და ახლა შეეცდებოდა ეს ტრიუკიც წარმოეჩინა აუდიტორიისათვის. შემდეგ მან ნაირგვარი საკეტით ჩაკეტილი ყუთი აიღო და მე გამომიწოდა, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ სწრაფად გამეღო ეს რაზა-კლიტეები, სულ სხვაგვარად მოვიქეცი.

ნანატრი წუთი დადგა! მე აღვმართე ხელი, მიკროფონს მივუახლოვდი და კონგრესის თავმჯდომარეს მივმართე:

- ღრმადპატივცემულო თავმჯდომარე! - წარმოვთქვი და შევეცადე მაიმუნების ენის ყველაზე უფრო სწორი და გამრთული ფორმებით მემეტყველა. - მე დიდი სიამოვნებით გავხსნი თქვენთვის ამ ყუთის სხვადასხვა საკეტს და პროგრამის ყველა ნომერსაც სიამოვნებით შევასრულებ, მაგრამ ვიდრე ამას მოვიმოქმედებ, გთხოვთ ერთი განცხადების უფლება მომცეთ, რაც, ჩემი აზრით, დიდად გააოცებს თქვენს სამეცნიერო საზოგადოებას.

თავმჯდომარე ბრიყვული სახით მიცქერდა და ვერაფერი გაეგო, ზაიუსი კი ელდანაკრავივით ირთოდა...

- ბატონო თავმჯდომარე! - ძლივს ამოღერღა ორანგუტანმა - მე პროტესტს ვაცხადებ...

მაგრამ ცხადი შეიქნა, რომ ზაიუსი ვერაფერს გახდებოდა ჩემთან დავაში და დადუმება არჩია. ვიხელთე დრო და განვაგრძე სიტყვა:

- ბატონო თავმჯდომარე! მე დიდი პატივითა და ღირსებით ვეპყრობი ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელს, მაგრამ მაინც გავბედავ და გავაკეთებ ჩემს განცხადებას, რომლის შემდეგაც ბატონი ზაიუსის მიერ მომზადებულ ნებისმიერ ტრიუკს პირნათლად შევასრულებ".

წამიერი დუმილის შემდეგ დარბაზში ქარიშხალი ამოვარდა. პუბლიკა გაოგნებული ყვიროდა! მაიმუნები ისტერიული „ვაშას" თუ რაღაც სხვა გამამხნევებელი სიტყვების ძახილით ან უბრალოდ პანიკური შიშის გამოხატვით, ეგებ სიცილ-ხარხარითაც, ჩემი სიტყვის გაგრძელებას ითხოვდნენ. ორიოდ წუთში ფოტორეპორიორებიც მოვგნენ გონს და მათი აპარატებიდან მომდინარე შუქმა დარბაზი ცეცხლმოდებულ ორმოს დაამგვანა. ასე გრძელდებოდა ხუთიოდე წუთის განმავლობაში, ვიდრემდე თავმჯდომარე გორილა უაზროდ მომშტერებოდა და როცა იგიც მოეგო გონს, თავადვე ინება და დარბაზის დასამშვიდებლად ზარს სწვდა.

- მ-მ-მ-აპატიეთ! არ ვიცი, რო-გ-გ-ორ მოგმართოთ?! - ენის ბორძიკით გამომელაპარაკა გორილა.

- უბრალოდ „მუსიე"! - ვუპასუხე.

- დიახ, მ-მ-მ... მუსიე! მე მგონი, ეს ისეთი საგანგებო შემთხვევაა, როცა სამეცნიერო კონგრესი ვალდებულია მოისმინოს თქვენი განცხადება!

ამ ბრძნულმა გადაწყვეტილებამ ახლოდისმენტების ახალი ქარიშხალი წარმოშვა. სწორედ ეს მინდოდა მეც, დავდექი ესტრადის შუაგულში, მიკროფონი ჩემს სიმაღლეზე დავაყენე და შემდეგი სიტყვა წარმოვთქვი.



## მერვე თავი

„- ბატონო თამჯდომარე! კეთილშობილო გორილებო! ბრძენო ორანგუტანებო! ღირსეულო შემპანზეებო! დიდსულოვანო მაიმუნებო! ნება მიეცით ადამიანს, მოგმართოთ თქვენ!

ვიცი, რომ სასაცილოდ გამოვიყურები, ვიცი, რომ ჩემი ცხოველური გამომეტყველება შეურაცხმყოფელია თქვენი მზერისათვის, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ახლა მივმართავ ყველაზე ცნობილ, ყველაზე ბრძენ მაიმუნებს, რომელთა გონებას შეუძლია შეგრძნებათა პირობითობაზე ამაღლდეს და შეიცნოს გონიერი არსება ჩემს ამგვარ არაესთეტურ გამომეტყველებაში".

ამგვარი მაღალფარდოვანი და თვითდამამცირებელი შესავალი სიტყვა ზირას და კორნელიუსის ძალდატენებით წარმოვთქვი, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ეს ორანგუტანების კეთილგანწყობას მომაპოვებინებდა. და სრულ სიჩუმეში ჩემი ძირითადი სათქმელიც ვთქვი

- „მომისმინეთ, მაიმუნებო! მომისმინეთ, რადგან მე შეგნებულად ვმეტყველებ და არ ვარ რომელიმე თუთიყუში ან ხელოვნური ავტომატი. მე ვაზროვნებ და ისე ვმეტყველებ და ისევე კარგად მესმის თქვენი, როგორც თქვენ გაგეგებათ ჩემი ნაუბარი. როცა ჩემს სიტყვას დავასრულებ, თქვენი პატივცემული მეცნიერების ნებართვით ვუპასუხებ ყველა კითხვას, რაც ჩემს მიმართ გაგიჩნდებათ.

მანამდე კი მე თქვენ ერთი გასაოცარი ჭეშმარიტება უნდა გითხრათ. მე არამხოლოდ გონიერი არსება ვარ, რომელიც ადამიანურ სხეულშია მოქცეული, არამედ შორეული სამყაროდან გახლავართ მოსული, ანუ იმ სმაყრაოდან, რასაც პლანეტა დედამიწა ჰქვია და რომელიც ბუნების გაუცნობიერებელი ფანტაზიის წყალობით ადამიანთა საბრძანებლადაა ქცეული. შევეცდები ჩემი პლანეტის ადგილმდებარეობა მოგახსენოთ"....

მივუახლოვდი შავ დაფას და რამოდენიმე ნახაზის საშუალებით შევეცადე მზის სიტემის ადგილმდებარეობა მეჩვენებინა მთელ გალაქტიკაში. ეს ახსნა-განმარტებანი კვლავაც დაძაბული სიჩუმით მოისმინა დარბაზმა. მაგრამ როცა ხაზვა დავასრულე და ცარცის ჩამოსაბერტყად ხელისგულები ერთმანეთს შემოვკარი, ზემოთა რიგებში ენით აუწერელი ხმაური გაისმა. მე კვლავ მოვავლე აუდიტორიას თვალი და უფრო მეტი დამაჯერებლობით განვაგრძე

„- ასე რომ, ჩვენს პლანეტაზე გონიერების მქონენი არიან მხოლოდ ადამიანები. ეს სრული ჭეშმარიტებაა და თქვენ უნდა დამიჯეროთ! ჩვენთან ევოლუციას განიცდიდნენ ადამიანები მაშინ, როცა მაიმუნები ველურ დონეზე დარჩნენ, რაც ახლა, როცა თქვენს უზარმაზარ ცივილიზაციას გავეცანი, ჩემში დიდ გაოცებას იწვევს. დიახ, დედამიწაზე ტვინი განუვითარდა მხოლოდ ადამიანს; ამიტომაც სწორედ ადამიანებს აქვთ უნარი მეტყველებისა, უნარი ცეცხლის მოპოვებისა თუ სხვა გონივრული საქმიანობისა. ადამიანები გახდნენ დედამიწის ბატონ-პატრონები და გარკვეულად სახეც კი უცვალეს ამ პლანეტას; ადამიანებმა შეძლეს იმგვარი სრულყოფისათვის მიეღწიათ, რაც თითქმის თქვენი პლანეტის ბინადართა დონეს უტოლდება და ზოგ საკითხში ასწრებს კიდეც მას... ო, ბრძენო მაიმუნებო!"

აქ უკვე ჩვენი ცივილიზაციის მიღწევათა მაგალითების მოხმობა დავიწყე; აღვწერდი ჩვენს ქალაქებს, ქარხნებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, ვახასიათებდი ჩვენს ქვეყნებს, მთავრობებს, ადათ-წესებსა თუ კანონებს და არც გართობის თავისებურებანი დამვიწყებია. შემდეგ ორანგუტანებს მივმართე და ვთხოვე ყურადღებით მოესმინათ ჩემი მონათხრობი დედამიწის მეცნიერული მიღწევების შესახებ. მე ვლაპარაკობდი და ვგრძნობდი, რომ ხმაში სიმტკიცე მემატებოდა და ვემგვანებოდი იმ მილიონერს, რომელიც თავისი ქონება-სიმდიდრით ტრაბახობს.

შემდეგ ჩვენი კოსმიური მოგზაურობის ამბები გავიხსენე. დეტალურად აღვწერე, თუ როგორ ჩამოვაღწიეთ ბეთელჰეიზეს სისტემამდე და როგორ დავეშვით სორორაზე; როგორ აღმოვჩნდით ადამიანების ტყვეობაში და როგორ ვცდილობდი ღრმადპატივცემულ ზაიუსთან კონტაქტის დამყარებას და როგორ ვერ შევძელი ეს და ამაში, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი დავადანაშაულე. ბოლოს ზირას საოცარი საზრიანობის ამბავიც მოვყევი და არც ის დამვიწყებია, თუ რაოდენი დახმარება გამიწია მან და დოქტორმა კორნელიუსმა.

ჩემი გამოსვლა კი ასე დავასრულე:

- „აი, ყველაფერი, რის თქმაც მინდოდა... ო, მაიმუნებო! თავად გადაწყვიტეთ, მთელი ამ მონათხრობის შემდეგ სამართლიანი იქნება თუ არა ჩემი, როგორც ნადირის დატოვება გალიაში. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ჩვენ აქ არანაირ ცუდ ზრახვებს არ ჩამოვიყვანივართ და მხოლოდ შეუცნობის შეცნობის სურვილი გვამოძრავებდა. მას შემდეგ კი, რაც თქვენი ენა შევისწავლე, მე სულ უფრო მხიბლავს აქაურობა და გულწრფელად ვარ აღფრთოვანებული თქვენით. უკანასკნელ ხანს მე ერთი გეგმაც კი შევიმუშავე, რასაც სიამოვნებით გავუზიარებ თქვენი პლანეტის პატივცემულ მეცნიერებს და ვიმედოვნებ, რომ საერთო ძალისხმევით დედამიწასთან კონტაქტს დავამყარებთ! დიახ, თუ ადამიანები და მაიმუნები ხელიხელჩაკიდებულნი გავლენ ამ უკიდეგანო სამყაროში, მათ ვეღარანაირი ძალა და შეუცნობლობა ვეღარ დაუდგებათ წინ!"

ამ სიტყვებზე სული ყელში მომებჯინა და ძლივსღა დავასრულე სათქმელი. მივუბრუნდი თავმჯდომარეს, რათა მისი რეაქცია დამენახა, მან კი ისღა შეძლო, რომ წყლით სავსე ჭიქას დასწვდა და ერთი ყლუპით გადასანსლა. დარბაზი თითქოს ამას ელოდა, ისე გამაოგნებლად აყაყანდა, რომ ცნება „ბაქანალიის" მნიშვნელობა მთელი სიცხადით იქ გავიაზრე. ვხედავდი, რომ გამარჯვება ჩემს მხარეს იყო, მაგრამ დარბაზის მიერ გამოხატული ამგვარი პანიკისა და ჩოჩქოლისათვის ნამდვილად მზად არ ვიყავი. მართალია, თითქმის დაყრუებული და დაბრმავებული ალვიქვამდი ამ ქაოსს, მარამ მალევე გავიაზრე, რომ ასეთი დონის ხმაურის მიზეზი იყო სხვა არაფერი გარდა იმისა, რომ მაიმუნები ემოციებს ოთხი კიდურის მეშვეობით გამოხატავდნენ. ათიათასობით სატანური არსება ისეთი ძალით ამოქმედებდა თავის ხელ-ფეხს, რომ შენობის გუმბათი ჩამოქცევამდე იყო მისული. მთელი ამ შთაბეჭდილებების ფონზე მაინც შევძელი შემენიშნა ზაიუსი, რომელიც ადგილიდან წამომხტარიყო და გამწარებული სცემდა ესტრადას ბოლთას, როგორც მაშინ, გალიასთან პირველად რომ დაუპირისპირდა ჩემს ინტელექტს. ეს იყო ჩემი უკანასკნელი გაზრებული ხილვა და მე სმენისწამღები ოვაციების თანხლებით ძალა გამომეცალა და უგონოდ დავეცი არენაზე.

## მეცხრე თავი

გონზე კი კარგახანს ვერ მომიყვანეს. თვალი რომ გავახილე, უცნობ ოთახში ვიწექი; ზირა და კორნელიუსი თავს დამტრიალებდნენ, გორილა-პოლიციელები კი ძლივს აკავებდნენ ოთახში შემოჭრის მსურველ რეპორტიორებს.

- ეს დიდებული იყო! - ჩამჩურჩულა ზირამ. - შენ გაიმარჯვე!

- ულის! - მითხრა კორნელიუსმა - ჩვენ დიადი საქმეები გველის!

მან ისიც მაცნობა, რომ მცირე ხნის წინ სორორას დიდი საბჭოს სხდომა დამთავრებულიყო, სადაც მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მე გამათავისუფლეს.

- მავანნი წინააღმდეგნი იყვნენო - დააკონკრეტა კორნელიუსმა - მაგრამ საღმა აზრმა მაინც გაიმარჯვა! - შემდეგ მკითხა, თანახმა ვიყავი თუ არა მათთან მეთანამშრომლა და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ კმაყოფილებით მოიფშვნიტა თათები.

- თქვენ აქ იცხოვრებთ - განაგრძო კორნელიუსმა - იმედია, ბინა მოგეწონებათ. მეც აქვე ვცხოვრობ და საერთოდ - ამ სართულზე მხოლოდ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ცხოვრობენ.

მე კი გაოგნებული ვიცქირებოდი აქეთ-იქით და თავი კვლავ სიზმარში მეგონა. ოთახი საოცრად მოხერხებული იყო. დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი ერა. მე დიდი გულმოდგინებით ვისწრაფოდი ამ ცვლილებისაკენ, მაგრამ ახლა რატომღაც მოწყენილობა დამეუფლა; ჩემი მზერა ზირას გამოხედვას გადაეჯაჭვა და საზრიანი მდედრი, მგონი, ჩაწვდა ამ

მოწყენილობის მიზეზს.

- დიახ - ჩაილაპარაკა ზირამ ორაზროვანი ღიმილით - აქ, რა თქმა უნდა, ნოვა არ გეყოლება.

მე მხრები ავიჩეჩე, მგონი, წამოვწითლდე კიდეც, წამოვიწიე და წამოვჯექი. კვლავაც ვიგრძენი სხეულში ძალა და მალევე მსურდა ახალი ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმა.

- როგორ გრძნობ თავს? - მკითხა ზირამ - პატარა წვეულება ხომ არ დაგღლიდა? ამ დიადი დღის აღსანიშნავად საღამოს მეგობარი შიმპანზეები მოვიწვიეთ...

- ეს ჩემთვის სიამოვნება იქნება-მეთქი - ვუთხარი და თან დავამატე, რომ შიშვლად სიარული მეტისმეტად მომბეზრდა და ახლაღა შევნიშნე, რომ ტანზე უკვე რაღაც პიჟამო მეცვა, რომელიც კორნელიუსის გარდერობიდან ნათხოვარი აღმოჩნდა.

- ხვალიდან შენს ჩაცმულობაზე სერიოზულად ვიზრუნებთ -დამამშვიდა ზირამ - დღეისათვის კი სახელდახელო კოსტუმს შეგიკერავენ... აი, მკერავიც!

ოთახში პატარა შიმპანზე შემოვიდა და პატივისცემის ნიშნად თავი დამიკრა. გაირკვა, რომ სანამ გონს მოვიდოდი, ყველაზე ცნობილ მკერავებს შორის დავა ყოფილა გამართული ჩემი სამოსის შეკერვის შესახებ. გაუმარჯვია ამ პატარა შიმპანზეს, რომელიც თურმე უმაღლესი ჩინის გორილებსაც უკერავს ტანსაცმელს. თერძის ხელოვნებამ აღმაფრთოვანა. რაღაც ორიოდ საათში მან საკმაოდ კარგი კოსტუმი შემიკერა, მაგრამ მისი ჩაცმა იმდენად უხერხული აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ზირამაც კი იგრძნო ეს და თვალებგადმოკარკლული მომაშტერდა. ამასობაში კორნელიუსმა ჟურნალისტებიც შემოიყვანა ოთახში და მე კვლავ ყურადღების ცენტრში მოვექეცი. რეპორტიორებმა კითხვები სეტყვასავით დამაყარეს და სულ უფრო მეტი პიკანტური ამბის შტყობა მოიწადინეს დედამიწის შესახებ. თავადაც ხომ ჟურნალისტი გახლავართ და ამიტომაც მორჩილად ვაძლევდი ინტერვიუს, რადგან მშვენივრად მესმოდა, თუ რა მნიშვნელობის საკბილო ვიყავი მე მათთვის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრესას უზარმაზარი დახმარების გაწევა შეეძლო ჩემთვის.

როგორც იქნა ამოიწურა ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობა და ჩვენ კორნელიუსის მეგობრებისაკენ გავეშურეთ. მაგრამ რაწამს ოთახიდან გამოვედით, ჩვენ ზანამმა შეგვაჩერა. როგორც ჩანს, მას გაეგო ბოლოდროინდელი ამბები და ამიტომაც ლამის მიწაზე განერთხა ჩემს წინაშე... მანვე გვაცნობა, რომ თურმე ჩემი ხანგრძლივი არყოფნისა გამო ნოვა ისე გაცოფებულა, რომ ვერავის დაუწყნარებია; უფრო მეტიც, მისი მღელვარება სხვა ტყვეებსაც გადასდებიათ თურმე და ახლა ველარანაირი ჩხვლეტითა და სხვა საშუალებით ველარ აწყნარებენ მათ.



- ახლავე მოვალ - უთხრა ზირამ დარაჯ გორილას, ჩვენ კი იქ მოცდა გვირჩია, მაგრამ ჩემს მუდარით აღსავსე თვალებს რომ წააწყდა, მითხრა - თუ გინდა, შენც წამოდი. შენ ახლა თავისუფალი ადამიანი ხარ... და, ალბათ, შენ უფრო შეძლებ მის დაწყნარებას, ვიდრე მე.

ზირასთან ერთად ტყვეების გალიებისაკენ გავეშურე და რაწამს დამინახეს ადამიანებმა, მაშინვე დაწყნარდნენ და გაუაზრებლად მიიყუჟნენ ჯუთხე-კუნჭულებში. მათ, სამოსის მიუხედავდ, რა თქმა უნდა, მიცნეს, თუმცა იმის გააზრება კი არ ძალუძდათ, თუ რამ გამოიწვია ასეთი ფერისცვალება. აკანკალებულმა ნოვას გალიამდე მივაღწიე, უფრო სწორად - ჩემს გალიამდე. მივედი ახლოს, გავუღიმე ქალს, გამოველაპარაკე კიდეც და ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ მას ჩემი ესმის და სადაცაა პასუხსაც გამცემს. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდა, უბრალოდ ჩემმა დანახვა იგი სხვებივით დაამშვიდა; ნოვამ შაქარიც კი გამომართვა და დამძიმებული გულით დიდხანს ვუსმენდი, თუ რა სიამოვნებით ღრღნიდა იგი ჩემს საჩუქარს.

* * *

ის საღამო, რომელიც კორნელიუსმა ჩემს საპატივცემლოდ ერთ-ერთ მოდურ კაბარეში გამართა, სამუდამოდ დარჩება ჩემს ხსოვნაში, რადგან მაშინ პირველად ვიგრძენი თავი მაიმუნების საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

დასაწყისშივე საამო გრძნობები დამეუფლა, რადგან ალკოჰოლისაგან ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ ჩემმა ორგანიზმა, როგორც იქნა, მიიღო სასურველი დოპინგი. აქვე უცნაური გრძნობაც დამეუფლა, რაც შემდგომშიც არაერთხელ მიგრძვნია, მაგრამ მასში გარკვევას ვერასოდეს ვახერხებდი. ამას შეიძლება ეწოდოს ასეთი რამ - ჩემს ცნობიერებაში თანდათანობითი წაშლა იმ ზღვარისა, რაც ჩემსა და მაიმუნებს შორის არსებობდა. ახლა მე მათში გორილებს, ორანგუტანებს ან შიმპანზეებს კი არა, ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელ გონიერ არსებებს ვხედავდი. მაგალითად, მეტრდოტელი, რომელიც იმ წვეულებაზე კაბარეს კარებში მედიდურად შემოგვეგება, ჩემთვის მამრი გორილა კი არა, ჩვეულებრივი მეტრდოტელი იყო. ხოლო როცა ზირასთან მომიხდა ცეკვა, მე იმას კი ვერ ვიაზრებდი, რომ ეს ქალბატონი შიმპანზე გახლდათ, არამედ ხელით მისი მოქნილი წელის მშვენიერებას შევიგრძნობდი.

აღარ აღვწერ დაწვრილებით იმას, თუ რა შთაბეჭდილება მოვახდინე მე მაიმუნებზე; ბუნებრივია, რომ ყურადღების ცენტრში ვიყავი და ორი დარაჯი გორილა, რომლებიც კორნელიუსმა საგანგებოდ მოიწვია, ძლივს აკავებდნენ სამივე რასის მდედრ მაიმუნებს, რომლებსაც ჩემგან ავტოგრაფის მიღება ეწადათ.

გვიან ღამემდე ვისხედით და უცებ პროფესორი ანტელი გამახსენდა; ამან საზიზღარი გრძნობები აღძრა ჩემში და სირცხვილისაგან ლამის ავღრიალდი - მე აქ განცხრომაში ვიყავი, პროფესორი კი ზოოპარკის გალიის თივის ზვინში იყო შეყუჟული. ზირამ ჩემი მღელავარების მიზეზი რომ გაიგო, განაცხადა, რომ პროფესორიც უნდა გაეთავისუფლებინათ, რასაც დამსწრე საზოგადოებაც დაეთანხმა და ჩვენ დაყოვნებლივ გავეშურეთ ზოოპარკისაკენ.

შუაღამე გადასული იყო, ზოოპარკის დირექტორი რომ გავაღვიძეთ, რომელსაც უკვე სმენოდა ჩემი ამბავი. კორნელიუსმა მას განუმარტა პროფესორ ანტელის ვინაობა, მაგრამ მან დილამდე ისურვა მოცდა, რათა რაღაც ფორმალობები შესრულებინა, თუმცა ანტელთან ლაპარაკის ნება იმავე ღამეს დამრთო. უკვე თენდებოდა, პროფესორის გალიასთან რომ მივედით, სადაც იგი სხვა ტყვეებთან ერთად ცხოველურ პირობებში ცხოვრობდა. ადამიანებს წყვილ-წყვილად ეძინათ, მაგრამ დირექტორმა შუქი რომ აანთო, ყველამ თვალი გაახილა.

მე მაშინვე დავინახე ჩემი მეგობარი; ისიც სხვებივით თივის ზვინში იყო მოკუნტული, მის გვერდით კი საკმაოდ ახალგაზრდა ქალი იწვა. ამ სანახაობამ თვალთაგან ცრემლიც კი გადმომადინა და გალიის გისოსებთან მივვარდი; ტყვეებს არანაირი რეაქცია არ გამოუმჟღავნებიათ, რადგან კარგად იყვნენ გაწვრთნილნი და უბრალოდ ყირაზე გადასვლა დაიწყეს ტკბილეულის მოლოდინში. დირექტორმა მათ ნამცხვრის ნაჭრები გადაუყარა და უმალ გაიმართა ზედახორა, რაშიც ასაკოვანი ადამიანები არ მონაწილეობდნენ დ ამხოლოდ საბრალოდ იშვერდნენ ჩვენსკენ ხელს. ამ მათხოვართა შორის იყო პროფესორი ანტელიც; იგი დირექტორისაკენ იმზირებოდა და შემზარავი სიბრალულით ითხოვდა საკვებს. ამგვარმა დამცირებამ აღმაშფოთა და პროფესორს მივუახლოვდი; თვალი თვალში გავუყარე მას, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ვერ მცნობდა; უფრო მეტიც - მე მის თვალებში გონიერების ნატამალსაც ველარ ვხედავდი. შეძრწუნებულმა გავიაზრე ის, თუმცა... დავატანე თავს ძალა და პროფესორს გამოველაპარაკე:

- პროფესორო!... მეტრ!... ეს მე ვარ, ულის მერუ. ჩვენ გადავრჩით... - მაგრამ წამიერად გაოგნებული დავდუმდი; ჩემი ხმის გაგონებაზე პროფესორი ანტელი სოროროს ადამიანებივით შეშინდა და კუთხეში მიიყუჟა - პროფესორო! პროფესორო! - ვევედრებოდი - მე ვარ, ულის მერუ, თქვენი მეგობარი. მე თავისუფალი ვარ და რამოდენიმე საათში თქვენც გაგათავისუფლებთ. ეს მაიმუნები ჩვენი მეგობრები არიან და დაგვეხმარებიან...

პროფესორმა კი ერთი სიტყვაც არ მითხრა. მას ჩემი არაფერი გაეგებოდა და მხოლოდ შიშს ჰმატებდა ჩემი გაუთავებელი ვედრება. მე სასოწარკვეთილებამ შემიპყრო და იქ მყოფი მაიმუნები მეტისმეტად გააოცა ამან, მხოლოდ კორნელიუსი მოიღუშა; მგონი, რაღაცას ხვდებოდა იგი... მე ისიც კი ვიფიქრე, ეგებ პროფესორი მაიმუნების შიშით თავს იკატუნებს და არ ლაპარაკობს-მეთქი. ამიტომაც ვთხოვე მაიმუნებს უკან გამდგარიყვნენ და კვლავ გამოველაპარაკე პროფესორს:

- მეტრ! - შევღაღადე მას - მესმის თქვენი სიფრთხილე. ვიცი, რა საფრთხეც ელით დედამიწელებს ამ პლანეტაზე, მაგრამ ახლა მარტონი ვართ და გარწმუნებთ, ყველა განსაცდელი დასრულდა. ამას გეუბნებით მე, ულის მერუ, თქვენი მოსწავლე, თქვენი მეგობარი!...

ანტელი კი უფრო მეტი შიშით მიმზერდა და უკიდურესი იმედგაცრუებისაგან ველაფერს ვეუნებოდი... უცებ პროფესორმა პირი გააღო!

ნუთუ დავითანხმე?! სუნთქვაშეკრული ველოდი, თუ რას მეტყოდა, მაგრამ იმან, თუ როგორ გამოხატა მან თავის გრძნობები, ჭკუიდან შემშალა... დიახ, პროფესორმა პირი გააღო და იქიდან ისეთივე ღრიალი ამოიფრქვა, როგორსაც სოროროელები გამოსცემენ ხოლმე დიდი შიშის ან სიამის განცდიდას...

(მეორე ნაწილის დასასრული)

**ამავე ნომრის პასუხები. რეიტინგი (მე-2 გვ.)**

1. სახრავი. 2. ესპანდერი. 3. სკოლა. 4. მოკლე. 5. სასკატუნი. 6. მიულერი. 7. პარსეკი. 8. მორავია. 9. სნობი. 10. მატრიკული. 11. ტრიატლონი. 12. დაბლოკილი. 13. მდორე. 14. გვადი. 15. უბედური. 16. ფტორი. 17. ეპარქია. 18. სტაფილო. 19. გრიპი. 20. ტრიკოტინი. 21. აფრასიონი. 22. არიფი. 23. ბლეფი. 24. ნარკომანი. 25. გრაფი. 26. ქალაქკომი. 27. ქათინაური. 28. ალთაი. 29. არტერია. 30. ორჯერ. 31. ეკიპაჟი. 32. ბრუკი. 33. ცისფერი. 34. წალკა. 35. აგასი. 36. ტეტია. 37. ნეიმეგენი. 38. ტელესკოპი. 39. დიონისე. 40. გიჟმაჟი.

## ჯელალ ედ-დინ რუმი. ყაზალები

*მთარგმნელი - ალ.ელერდაშვილი*

1. ეჰა, შენ სულო, სრულთაგან სრულო,
ხარ სულთა სული და კიდევ რაღაც;
ჰე, სასწაულთა დღესასწაულო,
ხარ სასწაული და კიდევ რაღაც.
ჰე, მწდეთა მწდე და ხარ მზეთა მზე შენ,
მარადის ზეობ ზეთაგან ზე შენ,
უსაზღვროეთში ხარ ზნეთა ზნე შენ,
ხარ ზნესაზღვრული და კიდევ რაღაც.
ეჰა, შენ მართალ გზათა მპყრობელს და
ხილულ სანახთა წარმომშობელს და
საწყისსა შინა თავად მყოფელს და
თვით ხარ სასრული და კიდევ რაღაც.
ეჰა, შენ უფლის სახევ და ხატო,
ცის შარავანდო და ანდამატო,
ყოვლთა შესაქმნელს შენ შეიქმ მარტო,
ხარ ყოვლადსრული და კიდევ რაღაც;
თავადვე ზრახავ ფარულ ზრახვას და
ფარული არსის ძალგიძს ნახვა და
ზრახულის სახეს შენში სახავ და
თვით ხარ ზრახული და კიდევ რაღაც.
შენ აქამანდებ ტრფობის თრიაქებს,
ლეილ-მაჯნუნს რომ აფორიაქებს,
ასეთ განგებას თუ ზოგი აქებს,
ზოგია კრული და კიდევ რაღაც.

1

ჰე, შენ მფარველობ იღბლით დიადს და
მასაც, ვინც ებრძვის თმენის წყვდიადს და
ღრუბელთა მიღმა გცნობენ ზვიადს და
ხარ ჯერართქმული და კიდევ რაღაც.
ჰე, მოციქულთა სიამაყევ და
ეჰა, ვინც ბრძენთა სულებს არყევ და
შენეულს ცხადი ზრუნვით აჰყევ და
კვლავ ხარ ფარული და კიდევ რაღაც.
ჰე, შეწყალების დასაბამო და
წყალობის ზღვათა ნაპირს ჰბანო და
ხან უსახლო ხარ სახლის ბანო და
ხან სახლში რგული და კიდევ რაღაც.
ჰე, შენი სახის მჭვრეტელი თვალი
თუ არის მხოლოდ მშვენებით მთვრალი,
დაკარგოს იმან ცოდვებში კვალი,
დაკარგოს რჯული და კიდევ რაღაც;
შენში ვეძიე უძიროს ძირი
და მოვიძიე ფუძეთა მძივი,
მაგრამ სევდისგან დავკარგე ძილი,
დავკარგე რული და კიდევ რაღაც.
ნეტავ შენს ბაგეს ველტვი რისთვის აწ?
არღარა შემრჩა მე იმისთვის აწ,
მე უსხეულო სიკვდილისთვისაც
ვარ განწირული და კიდევ რაღაც.

2

## აფორიზმების ანთოლოგია

1334. ალკოჰოლი ღუპავს მთელ ერს, ერთ კაცს კი ვერაფერს უზამს.

**უცნობი ავტორი**

1335. არაყი უნდა დალიო ორად ორ შემთხვევაში: 1) როცა მისატანებელი გაქვს და 2) როცა მისატანებელი არ გაქვს.

**ლეოპოლდ სტაფი**

1336. ახალი კაბა ისევე ზემოქმედებს ქალზე, როგორც ოთხი ჭიქა არაყი კაცზე.

**იანინა იპოხორსკაია**

1337. სასმელისადმი სწრაფვა, ქალისადმი სწრაფვისაგან განსხვავებით, თანდათანობით ქრინიკული ხდება.

**უცნობი ავტორი**

1338. „პური არსობისა“ არ კმარა კაცისთვის... დასალევიც ხომ საჭიროა?!

**უცნობი ავტორი**

1339. რეალობა არის ილუზია, რაც ალკოჰოლის ნაკლებობითაა გამოწვეული.

**ნ.პ. სიმპსონი**

1340. სიამოვნებით მოგიწვევდით დასალევად, მაგრამ მეშინია, ვაითუ - დამთანხმდეთ.

**„ქალი ზღვაზე“ (ფილმი)**



1341. მე ვსვამ იმისათვის, რომ სხვა ადამიანები უფრო საინტერესონი გახდნენ.

**ჯორჯ ჯინ ნეითანი**

1342. ამ ქალს უყვარდა მხლოდ ფხიზლები, ის კი მხოლოდ მთვრალებს მოსწონდათ.

**უცნობი ავტორი**

1343. სიყვარული ამოძრავებს სამყაროს!... და ვისკი ამ მოძრაობას ორჯერ აჩქარებს!

**კომპტონ მაკენზი**

1344. თრობა არის საშუალება, რის წყალობითაც ძველ მეგობრებს პირველად შეხვდები ცხოვრებაში.

**მაკ ბენოფი**

1345. ზოგისათვის ცხოვრება იწყება 40 წლის შემდეგ, ზოგისათვის კი - 100 გრამის შემდეგ.

**ლეონარდ ჯევიცკი**

1346. მე 100 გრამზე მეტს არ ვსვამ, მარამ როცა 100 გრამს დავლევ, სხვა კაცი ვხდები, ის სხვა კაცი კი ხარივით სვამს!

**ემილ კროტკი**

1347. ვერასოდეს გაიგებ, რომელია ზედმეტი ჭიქა, სანამ არ დალევ მას.

**ჟორჟ კურტელინი**

1348. შეიძლება უარი თქვა პირველ ჭიქაზე, მაგრამ ამას ვერ იზამ მეორე ჭიქასთან მიმართებაში.

**ლუდვიგ ბერნე**

1349. ყველაზე იაფი საშუალება - გადააჩვიო კაცი სმას - არის რა?

...რა და მანქანის ჩუქება!

**რიშარდ პოდლევსკი**

1350. ოპტიმისტი არის კაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოთლი სანახევროდ სავსეა, როცა სინამდვილეში ის სანახევროდ ცარიელია.

**ლეონარდ ლუის ლევინსონი**

1351. Наши отношения с женщинами складываются прекрасно, если они складываются. Женщин, которые не складываются, мы бросаем.

**მიხაილ ჟვანეცკი**

## გინესების რეკორდების წიგნი

## ადამიანი

***გიგანტები.*** **ყველაზე მაღალი მამაკაცი დღეს.**

ხაიი მოჰამედ ალამ ჩანას სიმაღლე 2 მეტრსა და 32 სანტიმეტრს შეადგენს.

***გიგანტები.*** **ყველაზე მაღალი ქალი დღეს.**

სენდი ალენი. 1955 წელს დაბადებული სენდი ალენის (აშშ) სიმაღლე ახლა 216 სანტიმეტრს შეადგენს, იგი 210 კილოგრამს იწონის და 50 ზომის ფეხსაცმელს იცვამს.

***გიგანტები.*** **ყველაზე მაღალი წყვილი.**

კანადელი ანა ჰენენის სიმაღლე 227 სანტიმეტრს შეადგენდა (...და არა 246 სმ, როგორც ადრე ამტკიცებდნენ); იგი ცოლად შეირთო აშშ-ს მკვიდრმა ბიურენ ბეიტსმა, რომელიც 7 სანტიმეტრით დაბალი იყო მასზე.

***გიგანტები.*** **ყველაზე შეუფერებელი წყვილი.**

ფაბიან პრეტუ და ნატალი ლოკიუ. 1990 წელს 189 სმ სიმაღლის ფაბიან პრეტუ, იქორწინა 94 სმ სიმაღლის ნატალი ლოკიუზე. სხვაობა მათს სიმაღლეში 95 სანტიმეტრია.

***გიგანტები.*** **ყველაზე დიდი ნახტომი სიმაღლეში.**

ადამ რაინერი. ავსტრიელი ადამ რაინერი 21 წლის ასაკში სიმაღლით მხოლოდ 118 სმ იყო. 11 წლის შემდეგ კი მისმა სიმაღლემ 218 სმ შეადგინა. იგი გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, როცა მისმა სიმაღლემ 234 სმ-ს მიაღწია.

## სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

223. **ფინაჩი** - ამ სიტყვას ძველ თბილისში ახლაც ხშირად შეხვდებით და ისეთ ხელოსანს გამოხატავს, ვისაც ხელობა არ უვარგა.

224. **ფირმანი** - „ფარმან“ ბრძანებას ნიშნავს.

225. **ფიჩვი** - ეს სიტყვა პირველად გვესმის, განმარტებით ლექსიკონში კი დაფიქსირებულია, როგორც სპარსული და გაცვეთილ სამოსს ნიშნავს.

226. **ფლასი** - ესეც სპარსულია და ესეც ძველმან, გაცვეთილ-დაგლეჯილ სამოსს ნიშნავს.

227. **ფლიდი** - სხვაობა თითქმის არ შეინიშნება.

228. **ფორთოხალი** - შესაძლოა, სიტყვა სპარსული არ არის, მაგრამ ამ ენიდან შემოვიდა ჩვენთან.

229. **ფსტა** - ეს ხე, რომელიც საკმაოდ გემრიელ გლუვნაჭუჭიან ნაყოფს ისხამს, პრაქტიკულად მხოლოდ ირანში ხარობს და, ბუნებრივია, სახელიც იქაური აქვს.

230. **ფული** - სპარსულია... ნეტავი ქართულად რა ერქვა „ხელის ჭუჭყს“?!

231. **ფუნდუკი** - დიდ გზაზე გამართული სასტუმრო.

232. **ქაბაბი** - წარმოშობა არაბული აქვს, შინაარსი - სპარსული და, ღმერთმა იცის, სადაური ხორცით კეთდება.

233. **ქალაღაია** - თხელი აბრეშუმის თავსახვევი.

234. **ქამანდი** - ცვლილება არ შეიმჩნევა.

235. **ქამანჩა** - სიმებიან-ხემიანი მუს. საკრავი.

236. **ქამარი** - „წელს“ ნიშნავს, ამიტომაც სპარსელები უფრო ხშირად კომპოზიტს ხმარობენ - „ქამარ-ბანდ“ (შეადარეთ - შუშა-ბანდი - მინების შემკვრელი.)

237. **ქამხა** - ეს სიტყვაც პირველად გავიგეთ (აბრეშუმის ფერადი ქსოვილი), არადა, ჩვენს განმარტებით ლექსიკონში დაფიქსირებულია, როგორც სპარსული.

238. **ქანი** - დედამიწის ქერქის წიაღისეული შრე.

239. **ქანდაკი** - იგივე ქანდაკება.

240. **ქარავანი** - ამ სიტყვის სპარსულობა ყველასათვის ცნობილია.

235. **ქარგა** - კომენტარს არ საჭიროებს.

236. **ქარგალი** - ქარ - საქმე, გარ - ხელობის მანიშნებელი ბოლოსართი (გახსოვთ - გოგიტა კვერნაძეც კი იყო ქარგალი... საბუდარელი ჭაბუკი!)

237. **ქარვა** - ყვითელი ფერის გამჭვირვალე ფისოვანი ნივთიერება.

238. **ქარვასლა** - კომენტარს არ საჭიროებს.

239. **ქარხანა** - ქარ - საქმე, ხანა - სახლი.

240. **ქაფი** - კომენტარს არ საჭიროებს.

241. **ქაფქირი** - ქაფის დამჭერი.

242. **ქაფჩა** - „აქაფებული“ ტალახის ამღები.

243. **ქაღალდი** - „ქაღაზ“ - ასე ამბობენ ირანში.

244. **ქაჩალი** - განვმარტოთ?!

245. **ქაჯი** - „მრუდეს“ ნიშნავს და ავსულთა მიმართ გამოიყენება.

# კოსმოსის ათვისება

## პილოტირებული ფრენის ქრონიკა

17\. 1965 წელი, 21-29 აგვისტო

**გორდონ კუპერი** (მეორე გაფრენა), **ჩარლზ კონრადი** - კოსმოსური ხომალდი **„ჯემინი-5"**.

*კონტეინერთან მიახლოების ექსპერიმენტი.*

**ჩარლზ კონრადი (Charles Conrad)**- დაიბადა1930 წელს ოკლაჰომაში. 1962 წლამდე იყო **NASA**-ს რიგითი ინსტრუქტორი, ხოლო ასტრონავტთა რიგებში ჩარიცხვის შემდეგ შეასრულა ოთხი გაფრენა და ითვლება მესამე ადამიანად, ვინც ფეხი დაადგა მთვარის ზედაპირს.

18\. 1965 წელი, 4-18 დეკემბერი

**ფრენკ ბორმანი, ჯეიმზ ლოველი** - კოსმოსური ხომალდი **„ჯემინი-7"**.

*ჯგუფური ფრენისას 1,8 მეტრზე მიუახლოვდნენ „ჯემინი-6"-ს*





**ჯეიმზ არტურ ლოველი (James Arthur Lovell)**- დაიბადა 1928 წელს ოჰაიოს შტატში. 1962 წლიდან ასტრონავტთა რიგებშია. პირველი გაფრენისას ფრენკ ბორმანთან ერთად 14 დღე დაჰყო კოსმოსში, რაც იმ დროისათვის რეკორდული მაჩვენეებლი იყო. 1968 წელს „აპოლონით" განხორციელებული ფრენისას პირველმა შეძლო მთვარის ორბიტაზე გასვლა. ამ გაფრენას კიდევ რამოდენიმე გასვლა მოჰყვა კოსმოსში, 1973 წელს ჯეიმზ ლოველი გავიდა **NASA**-ს რიგებიდან.

**ფრენკ ბორმანი (Frank Borman)**- დაიბადა 1928 წელს ინდიანას შტატში. აშშ-ს სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ სამსახური დაიწყო საჰაერო ძალებში, საიდანაც ასტრონავტთა რიგებში იქნა გადაყვანილი. ძირითადი გაფრენები მოაწყო ჯეიმზ ლოველთან ერთად და 1975 წელს დატოვა **NASA**-ს რიგები.

19\. 1965 წელი, 15-16 დეკემბერი

**უოლტერ მარტი შირა** (მეორე გაფრენა), **თომას სტაფორდი** - კოსმოსური ხომალდი **„ჯემინი-6"**.

*ჯგუფური ფრენისას 1,8 მეტრზე მიუახლოვდნენ „ჯემინი-7"-ს*

**თომას პატენ სტაფორდი (Thimas Patten Stafford)** - დაიბადა 1930 წელს ოკლაჰომას შტატში. 1952 წლიდან სწავლობდა აშშ-ს უმაღლეს სამხედრო აკადემიაში. 1962 წელს საჰაერო ძალებიდან გადაყვანილ იქნა ასტრონავტთა რიგებში. არაერთხელ ჰქონდა საპასუხისმგებლო გაფრენა, რომელთა შორის გამოირჩევა 1975 წელს „სოიუზ-აპოლონის" პროგრამით განხორციელებული ფრენა.

20\. 1966 წელი, 16 მარტი

**ნილ არმსტრონგი, დევიდ სკოტი** -კოსმოსური ხომალდი **„ჯემინი-8"**.

*ხომალდის ხელით მართვა რაკეტა „აჯენასთან" შეერთებისას.*



**ნილ ალდენ არმსტრონგი (Neil Alden Armstrong)** - დაიბადა 1930 წელს ოკლაჰომას შტატში. არმსტრონგმა პილოტის ლიცენზია 16 წლის ასაკში მიიღო. 1948 წლიდან კორეის ომში მონაწილეობდა და შესრულებული აქვს არაერთი საბრძოლო გაფრენა. 1955 წლიდან საჰაერო ძალებში მფრინავი-გამომცდელის მოვალეობას ასრულებდა. 1962 წლიდან ჩაირიცხა ასტრონავტთა რიგებში. პირველი ფრენა „ჯემინი-8"-ით ტექნიკური უწესრიგობის გამო 10 სთ და 41 წთი-ის შემდეგ შეწყდა.

**ნილ არმსტრონგი არის პირველი ადამიანი, ვინც 1969 წლის 20 ივლისს მთვარეზე დადგა ფეხი.**

**დევიდ რანდოლფ სკოტი (David Randolph Scott)** - დაიბადა 1932 წელს ტეხასის შტატში. მსახურობდა აშშ-ს საჰაერო ძალებში და 1963 წელს ჩაირიცხა ასტრონავტთა რიგებში; მან სამ გაფრენაში მიიღო მონაწილეობა (ჯემინი, აპოლონი, სოიუზ-აპოლონის პროგრამებით).

დაინტერესებული მკითხველისათვის ერთხელაც განვმარტავთ, რომ ჩვენ ძირითად ყურადღებას ამერიკელთა კოსმოსურ ექსპედიციებს ვუთმობთ, რადგან იმავე თემატიკის საბჭოური მასალები უხვად მოიპოვება ნებისმიერ საცნობარო ლიტერატურაში.

# გასული ნომრის პასუხები

**მე-4-5 გვერდი.** ***თარაზულად***: 1. კოკობი. 4. ჰაიმორიტი. 8. ტუგრიკი. 14. მოტოროლა. 15. ქრონიკული. 16. კვირია. 19. ტრუბადურები. 20. კრიმინოლოგია. 23. ადიდასი. 24. შირვინდტი. 25. უნია. 29. გიაური. 30. იამაიკა. 31. იკაროსი. 35. როსი. 36. ციკლოფრენია. 37. ალბერტა. 41. აფალინა. 42. ჰემინგუეი. 43. ეფრონი. 47. დენევი. 48. პურიზმი. 49. კატასტროფა. 52. ასპირანტი. 53. ჰიჩკოკი. 54. კიკუ. 58. სულა. 59. ფერია. 60. დიონი. 61. გოფრე. 66. პონტი. 67. ევრაზია. 68. კანტემირი. 73. არსენალი. 74. პასკევიჩი. 75. ულუმბო. 78. პარმენიდე. 79. თაღლითი. 80. ეტლი. 84. ლეგატი. 85. ტრინიდადი. 86. არბიტრი. 90. ვონა. 91. ბანგი. 92. კაპლანი. 93. ოლთისი. 97. კრაიოვა. 98. გერდა. 99. დიტრიხი. 104. სიგნატურა. 105. კარმენი. 106. მერუ. 110. დღიური. 111. პრეტენზია. 112. ატრიუმი. 116. ლოკომოტივი. 117. ასკანიო. 118. პრუსტი. 121. ტური. 122. არარატი. 123. ინტეგრალი. 127. მიოკარდი. 128. რუბენსი. 129. შუმახერი. 130. გინეა. 131. გოგელია. 132. კარაბინერი. ***შვეულად:*** 1. კომა. 2. კატერი. 3. ბორობუდური. 5. მარაბუ. 6. რენო. 7. ტოკარევი. 9. რაველი. 10. კურაგინი. 11. ალიდადა. 12. ალიმონაკი. 13. კატარაქტა. 17. ფრისტაილი. 18. უნიტარული. 21. ბერგერი. 22. სინკრეტიზმი. 26. საქსოფონი. 27. პამფლეტისტი. 28. ოსტეოფიტი. 32. ვიშნუ. 33. დინგო. 34. ეტიოლოგია. 38. ალავესი. 39. რემარკი. 40. დინაბურგი. 44. ადონისი. 45. მურავიოვა. 46. მაიკროფტი. 50. დიჯეი. 51. ჰიმნი. 55. ალფონსი. 56. სინიაკი. 57. ბრუმელი. 62. სტანდარტი. 63. სარანდონი. 64. მარჩელო. 65. დრამატურგია. 69. იაკოვლევი. 70. შლამი. 71. ავთანდილი. 72. ფობია. 76. ინტრიგა. 77. ეთერი. 81. უგუნური. 82. ედუარდი. 83. მიკლუხო. 87. ფარვანა. 88. ინდიუმი. 89. ჩიმაბუე. 94. პილიგრიმი. 95. რეკრუტი. 96. გრანიტი. 100. მანდელშტამი. 101. სტაროვერი. 102. ჰალიკარნასი. 103. ჰერმესი. 107. პინკერტონი. 108. ონისე. 109. გიბრალტარი. 113. ოტარიდი. 114. ლილეო. 115. ყინწვისი. 119. სტრუვე. 120. არშუშა. 124. კალე. 125. შელი. 126. ნედე.

**მე-7 გვერდი.** ***თარაზულად***: 1. მასხარა. 7. ჩეზარე. 10. დარბაზი. 12. მონტანა. 13. ჩერჩილი. 14. მილუოკი. 15. ამილოზა. 16. კლასიკა. 17. როდრიგო. 18. ანოლისი. 22. ვლახეთი. 23. სამიტი. 26. ბრიფინგი. 27. მანილა. 30. ზინგერი. 31. შერიდანი. 32. მოგული. 33. ფრეგატი. 34. სიმამაცე. 38. ნემანი. 39. მაშიკო. 42. ბუმერანგი. 43. სონია. 46. ტორპედო. 47. ბანგალორი. 48. ფორტე. 49. ჩარენცი. 50. ლიპარიტი. 51. აპისი. ***შვეულად***: 1. მომბასა. 2. სანდინო. 3. აბანოზი. 4. ადამარი. 5. პრელუდია. 6. პაზოლინი. 7. ჩიჩიკოვი. 8. ზარბაზანა. 9. რაიციგერი. 11. ქინაქინა. 19. ნერგები. 20. ლიფსიტა. 21. სანტანა. 23. სიზიფე. 24. მანდელა. 25. ტყემალი. 27. მიმინო. 28. ნეგომბო. 29. ლალანდი. 34. საბაბი. 35. მამონტი. 36. მარიანა. 37. ცენზორი. 39. მიტიჩი. 40. შირერი. 41. კვერნა. 43. სოფია. 44. ნარდი. 45. აბედი.

**მე-14 გვერდი.** ***თარაზულად***: 1. კიუხელბეკერი. 6. სულეიმანი. 10. აპია. 15. სატირი. 16. ელექტრიკი. 17. ანასტომოზი. 20. ჭარმაგი. 21. დისტრიბუცია. 22. უპრავა. 26. ნეოგველვიზმი. 27. ანგელინა ვოვკი. 30. იგლუ. 31. აბრამ. 32. მანსერა. 33. ინვერსია. 37. ბიბლიომანია. 38. ყვარყვარე. 42. კუშტი. 43. რივერაინა. 44. აზიზა. 45. ჰაიტ. 50. გაგარინი. 51. ყანდიაშვილი. 52. ტუშფა. 56. ნემატოციდები. 57. სოკრატესი. 58. ორლი. 61. კესო. 62. ტლაპო. 63. აფრიანი. 64. ირემი. 69. ჭროღა. 70. ვაჰაბიზმი. 71. კრონშტეინი. 75. გოგელია. 76. ექო. 77. გარდემარინი. 82. კუსტანაი. 83. პატრიარქატი. 84. ასპიტი. 87. მეგალოპოლისი. 88. პოზიტრონი. 89. ველი. 92. ბაფთი. 93. კანიბალიზმი. 94. კალანდია. 98. ალია. 99. მენტალიტეტი. 100. მუხრუჭი. 104. მაქსი. 105. ირისი. 106. კატია. 107. კრიშა. 113. რიბოსომები. 114. პამკრატიონი. 115. კილო. 118. ურია. 119. ანტილოგარითმი. 120. ღოროტოტო. 121. ისიანი. 122. გოგა ფიფია. 123. კატამარანი. ***შვეულად***: 1. კოსა. 2. ულტრამოკლე. 3. ეფრემოვი. 4. კოლა. 5. რექვიემი. 7. უჭკვიანესი. 8. მანტილია. 9. ნასა. 11. პროზაიკოსი. 12. ამირან. 13. ერატო. 14. კომპტომეტრი. 18. მგალობელი. 19. ბუნებრივი. 23. ანტიგუა. 24. კიტაროდია. 25. ფარნავაზი. 28. გარიბალდი. 29. კალისტო. 34. ტინტორეტო. 35. გარემარბი. 36. პროზელიტი. 39. ბურგომისტრი. 40. ანტაგონიზმი. 41. ფაიფური. 46. ოგინსკი. 47. შნიცელი. 48. გვარინი. 49. სუბ. 53. ადოპტაცია. 54. ასტრონომი. 55. ვიტორიო. 59. აფთიაქარი. 60. ამატერასუ. 65. აღმოსავლეთი. 66. ტაი. 67. კრედიტორი. 68. დისნეილენდი. 72. ატაკამა. 73. დეშამპი. 74. მარქსიზმი. 78. ასიგნაცია. 79. ვაისმიულერი. 80. პაროდისტი. 81. ვივიპარია. 85. შლიახტა. 86. ინდაური. 90. მარტის მამალი. 91. ჭანჭური. 95. საწმერთული. 96. სენსიმონი. 97. კულისიე. 101. მარსი. 102. მარაზმი. 103. მშვიდობა. 108. აბრისი. 109. ობლიგო. 110. სკვითი. 111. ანდორა. 112. კოჯორი. 116. ზოლა. 117. მონა.

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს | ჰ | ა | | | | | | | | | | | | მ | |
| | ო | | 1 | | | | | | | | | | ჩ | ა | ო |
| ს | რ | ა | | | | | | | | | | | ე | ლ | |
| ა | ნ | | ს | ი | ნ | უ | ს | ი | | ო | ს | ი | ლ | ე | |
| პ | ო | მ | ი | დ | ო | რ | ი | | ა | | ი | ლ | ე | გ | მ |
| ა | | ი | ყ | ა | ყ | ა | ბ | | ს | ა | მ | ი | | ა | |
| ტ | | უ | რ | ჩ | ი | | რ | ა | ი | მ | უ | ნ | დ | ო | |
| რ | | ს | უ | | ე | | მ | ი | ა | გ | ნ | ო | | ნ | |
| ი | ბ | ე | ვ | ა | რ | კ | ა | ს | | ო | ჯ | | ა | ი | დ |
| ა | ი | რ | ე | ვ | ი | | ვ | ა | რ | დ | ე | ნ | ი | | რ |
| რ | ო | ა | | რ | | ჩ | ე | ტ | ი | | | ი | ნ | დ | ი |
| ძ | | | პ | ა | პ | ა | | | ლ | ი | ა | ნ | ა | | უ |
| ო | რ | ჯ | ო | ნ | ი | კ | ი | ძ | ე | ა | ბ | ა | დ | ი | |
| | | | | | | | | | ე | ბ | ო | კ | | | |
| | | | | | | | | | ვ | ო | ნ | ა | | | |
| | | | | | | | | | ი | | ი | | | | |

## მერვე გვერდი

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შ | | ც | | შ | ა | პ | ი | ტ | ო | | | ო | ი | ს |
| მ | ე | რ | ი | ლ | ი | ნ | ი | | ა | | დ | უ | ბ | ნ | ა |
| | ლ | ა | მ | ი | ნ | ი | რ | ე | ბ | ა | | | მ | ა | რ |
| კ | ა | ვ | ა | ლ | ე | რ | ი | | უ | | ძ | მ | ე | ბ | ი |
| | მ | ა | კ | უ | ლ | ა | ტ | უ | რ | ა | | ო | რ | უ | ს |
| კ | ა | ნ | უ | | ი | | ი | რ | ე | ს | ი | კ | | | ტ |
| | ზ | ე | რ | ო | | | | ი | ტ | ა | რ | ა | კ | | ა |
| მ | ე | ლ | ი | ტ | ო | ნ | ი | | ი | კ | ი | ს | ო | ნ | |
| | ბ | ი | ძ | ა | | ო | ა | მ | | ო | | ი | მ | ო | ნ |
| | ა | | ე | ვ | ა | ნ | ს | ი | | ვ | ა | ნ | ი | ლ | ი |
| კ | | დ | | ა | რ | ი | ო | მ | | ა | | ი | ს | ე | ლ |
| ი | მ | ა | ბ | | მ | უ | ნ | ი | | ნ | | | ა | ბ | ო |
| გ | ე | ნ | ა | | ე | ს | ი | ნ | ო | ი | დ | | რ | ი | ს |
| ა | ლ | ა | ზ | ა | ნ | ი | | ო | | | ა | ლ | ი | | ი |
| ნ | ა | კ | ა | დ | ი | | ჯ | | ო | კ | რ | | | | |
| ი | ნ | ა | რ | ი | ა | | ი | ნ | ა | რ | ი | მ | ა | | ი |
| | ი | რ | ი | მ | | ი | ლ | ა | მ | ე | | ო | ვ | ა | ს |
| ს | | გ | | ა | ი | ნ | ა | რ | ი | პ | | ნ | ე | მ | ო |
| ი | ს | ი | ა | მ | | ა | | ი | ს | ი | ლ | ი | ფ | ი | ს |
| ნ | | | რ | | ი | რ | ა | ნ | | ტ | | ტ | უ | რ | ი |
| ო | ბ | ო | ბ | ა | | ი | ს | ი | რ | ა | ლ | ო | ს | | გ |
| დ | ი | ნ | ა | მ | ი | ტ | ი | | ა | ც | ო | რ | | ა | |
| ი | ტ | ი | ტ | ე | პ | | ო | ბ | ს | ი | დ | ი | ა | ნ | ი |
| | ი | | ი | რ | ს | ა | ბ | | | ა | ი | | | ე | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კ | | მ | | ა | ტ | პ | ე | ლ | | | | კ | ი | ო |
| ჰ | ა | რ | ა | კ | ი | რ | ი | | ი | რ | ა | ტ | ა | კ | |
| | მ | უ | ნ | ი | ც | ი | პ | ა | ლ | ი | ტ | ე | ტ | ი | |
| რ | ა | ბ | ა | ტ | ი | | ი | | ი | ს | უ | ტ | ა | ტ | ს |
| | რ | ი | ვ | ე | ლ | ი | ნ | ო | | კ | ი | რ | ი | | ე |
| მ | ა | ნ | ი | ლ | ა | | ი | ა | ფ | ი | | ა | | | გ |
| ა | | ი | | ი | ო | რ | ა | მ | ი | | მ | ე | ს | ი | ა |
| რ | | | რ | | კ | | | ი | ლ | ი | რ | დ | ა | კ | |
| ა | ლ | ვ | ო | მ | | ნ | ა | ს | ა | | ა | რ | ა | ი | ტ |
| ზ | | ა | დ | ა | რ | ა | შ | | | წ | ვ | ი | მ | ა | |
| მ | ე | ლ | | ხ | ო | რ | ვ | ა | ტ | ი | ა | | ა | პ | ს |
| ი | ნ | ე | ს | რ | ი | ვ | ე | | ი | ბ | ლ | ა | ყ | | ა |
| | ე | | ც | ა | ნ | ა | თ | | ბ | ო | ი | ზ | ო | ნ | ი |
| გ | რ | ი | ე | | ი | ლ | ი | ბ | რ | | | ა | | | გ |
| | ჯ | ა | ნ | ა | შ | ი | ა | | ი | ს | ი | რ | ი | ს | ო |
| დ | ა | ვ | ა | რ | ი | | | გ | | ნ | ა | ტ | ს | ე | ნ |
| | ი | ა | რ | ი | | ბ | | ვ | ნ | ე | ბ | ი | ა | ნ | ი |
| ბ | ზ | რ | ი | ა | ლ | ა | | ა | | უ | | | | | |
| ი | ე | ძ | | | ი | ნ | ი | დ | ო | ლ | | | | | |
| ო | რ | მ | ო | | კ | ა | ბ | ა | რ | ე | 9 | | | | |
| ლ | ი | ნ | ო | | ა | კ | ო | ლ | ო | ბ | | | | | |
| ო | | ი | ნ | ი | ნ | ი | | უ | ტ | ა | | | | | |
| გ | უ | ლ | ი | ტ | ი | | | პ | | | | | | | |
| ი | | ი | | ა | | ა | ლ | ე | პ | ო | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რ | | მ | | ი | | ო | პ | ე | რ | ა | ც | ი | ა |
| ს | ო | ლ | ჟ | ე | ნ | ი | ც | ი | ნ | ი | | ე | | ლ |
| | ჟ | უ | ა | ნ | ი | | ი | ა | დ | ო | ნ | ი | | ტ |
| მ | დ | ი | ვ | ა | ნ | ი | | | რ | | ე | ლ | ი | ა |
| | ე | დ | ე | მ | ი | | ფ | რ | ო | ნ | ტ | ო | ნ | ი |
| ა | ს | ო | | ზ | | პ | | | | | ო | ნ | ა | |
| | ტ | რ | ო | ე | პ | ო | ლ | ს | კ | ი | | ი | ნ | ა |
| ს | ვ | ი | ა | | | | | | | | | | ი | |
| | ე | | ზ | 12 | | | | | | გ | ე | ი | შ | ა |
| ა | ნ | ც | ი | | | | | | | ა | რ | ჩ | ვ | ი |
| | ს | | ს | | | | | | | ხ | ე | კ | ი | |
| ო | კ | რ | ი | ბ | ა | | ტ | | დ | უ | ბ | ე | ლ | ა |
| ს | ი | ო | | | ი | | რ | | ა | | უ | რ | ი | |
| ა | | კ | ვ | ა | ნ | ტ | ა | ლ | ი | ა | ნ | ი | | ჩ |
| ს | | ფ | | ლ | ა | რ | ი | | მ | თ | ი | ა | ნ | ი |
| უ | | ე | | ბ | | ა | ბ | ე | ლ | ი | | | | ხ |
| ნ | ო | ლ | ტ | ე | | მ | ა | რ | ე | | ბ | უ | მ | ი |
| ა | | ე | | ნ | | ა | ლ | ე | რ | დ | ი | | ზ | |
| | ა | რ | ძ | ა | უ | ლ | ი | | ი | რ | ო | ნ | ი | ა |
| ა | ლ | ი | ა | | რ | ი | ზ | ე | | ო | | | ა | |
| | ვ | | ლ | ე | ვ | | მ | დამპატიჟე | | | | | | |
| კ | ა | ბ | ა | | ა | | ი | | | | | | | |

## მეექვსე გვერდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტ | ი | ტ | ა | ნ | ი | ტ | ა | კ | რ | ა | ს |
| რ | ე | ი | ს | ი | ნ | ი | რ | ვ | ა | ნ | ა |
| ა | მ | რ | ე | ვ | ი | რ | ა | ი | ნ | ი | ტ |
| დ | ე | ი | ნ | ა | ნ | ი | ტ | რ | ა | ტ | ი |
| ი | ნ | ტ | ი | მ | ი | ფ | ი | ა | ლ | ა | ნ |
| ც | ი | ა | ნ | ი | დ | ი | დ | ა | ი | ს | ი |
| ი | ა | ს | ო | ნ | ი | ლ | ი | ნ | ზ | ა | კ |
| ო | ტ | ი | ტ | ი | ვ | ა | რ | დ | ი | კ | ო |
| ნ | ე | კ | ი | ნ | ი | კ | ო | რ | ა | უ | ლ |
| ა | ნ | ო | დ | ი | ზ | ი | ლ | ი | ი | რ | ი |
| ლ | ი | კ | ა | ნ | ი | ტ | ი | ა | რ | ა | ზ |
| ი | ს | ა | რ | ა | ა | ც | ე | ტ | ო | ნ | ი |
| ს | ე | ვ | ი | ლ | ი | ა | კ | ო | ნ | კ | ა |
| ტ | რ | ი | კ | ი | ფ | რ | ა | ნ | ს | ი | |
| ი | ი | რ | ო | ნ | ი | ა | ვ | ა | ი | ო | |

## შიფრ-ვორდი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 7 | მ | 11 | ღ | 25 |
| ბ | 17 | ნ | 15 | ყ | 14 |
| გ | 27 | ო | 12 | შ | 26 |
| დ | 20 | პ | 8 | ჩ | 33 |
| ე | 2 | ჟ | 29 | ც | 4 |
| ვ | 21 | რ | 3 | ძ | 10 |
| ზ | 28 | ს | 22 | წ | 13 |
| თ | 18 | ტ | 19 | ჭ | 32 |
| ი | 5 | უ | 9 | ხ | 31 |
| კ | 24 | ფ | 30 | ჯ | 23 |
| ლ | 16 | ქ | 6 | ჰ | 1 |

იტალიური კროსვორდის შევსება ყველას დაასწრო ბატონმა შალვა როინიშვილმა




**განათავსეთ ეს რიცხვები თავთავის ადგილზე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26 | 283 | 663 | 14896 | 238313 |
| 41 | 287 | 665 | 29345 | 259182 |
| 53 | 288 | 703 | 32814 | 327299 |
| 75 | 344 | 725 | 33247 | 390267 |
| | 347 | 742 | 36347 | 472456 |
| 101 | 399 | 796 | 43571 | 669129 |
| 115 | 428 | 810 | 56883 | 713410 |
| 155 | 461 | 829 | 58458 | 809811 |
| 157 | 463 | 844 | 76920 | |
| 166 | 504 | 912 | 90326 | |
| 192 | 576 | 934 | | |
| 214 | 623 | 974 | | |
| 231 | 651 | | | |

**ამგვარი გასართობი გავიხსენეთ ბატონი შოთას თხოვნით**




# ჭკვიანი ბევრი აღმოჩნდა 15 ივნისს!!!
# ვინ იქნება *ყველაზე-ყველაზე* ჭკვიანი მეექვსე თვეში?

...მართალი გითხრათ, ამ კითხვა-პასუხის ჩატარებას მხოლოდ ერთ ტურად, 15 ივნისს ვაპირებდით, მაგრამ მასში მონაწილე ექვსმა ადამიანმა თანაბარი ქულები - 11-11 დააგროვეს და ამიტომ იძულებულნი ვართ ტურნირი გავაგრძელოთ და კიდევ ორი ტური ჩავატაროთ. სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.

**საპრიზო ფონდი პირველი ადგილის მფლობელისათვის 40 ლარამდე გაიზარდა.**

დაგვირეკეთ პარასკევს, 22 ივნისს 18-20 საათებში ტელ.: 79-53-70 ან (8-77) 72-61-18.

**15 ივნისის პასუხები და შედეგები**:

1. მემანქანე ჯონ გილესპი პირველ სარკინიგზო ავარიაში დაიღუპა. 2. ფორთოხალი. 3. სოფი მარსო. 4. ნიაზ დიასამიძე. 5. რენუარი (ჩაითვალა პისაროც, რადგან მასაც აქვს დაახლოებით ამავე სათაურის ნახატი.) 6. ბალეტიც?! 7. ქირურგი. 8. ჩიკაგო. 9. „ჰუსარული ბალადა“ (...აქ ქალია კაცად გადაცმული, დანარჩენში კი - პირიქით). 10. ელვის პრესლი. 11. „იომური შიმბანი“. 12. ჟურნალი. 13. ბახი (დანარჩენები „ძმების“ სახელით არიან ცნობილნი). 14. არალეგალური სტამბა. 15. ჩარლტონ ჰესტონი.

**11 ქულა** - თინა ფურცელაძე, ელეონორა ფურცელაძე, გიორგი მიქელაძე, ანდრო მჭედლიშვილი, ემზარ ცინცაძე, მერი მამრიკიშვლი. **9 ქულა** - ალიკო ალიმბარაშვილი, ნიკოლოზ დანდლიშვილი.**8 ქულა** - გოჩა ლობჟანიძე, ცირა პავლიაშვილი, შალვა როინიშვილი, მაკა ფორჩხიძე, ლილე აქუბარდია, მაია ედიშერაშვილი, თამუნა შალიკიანი, თეა პირველი, ლელა ბუბაშვილი. **7 ქულა** - ნინო მჭედლიძე, დათო გაგნიძე, ნატო ბადალაშვილი, ნუგზარ ბაჩუკაშვილი. **6 ქულა** - ნუნუ გურგენიძე, თამრიკო დამენია.

**✓ 1. კომპიუტერული პროგრამა არ არის:**

a) Corel. b) Pagemaker. c) Bookmaker. d) Word.

**✓ 2. აღმოსავლურ პოეზიას არ თარგმნის:**

a) ვახუშტი კოტეტიშვილი. b) ბაჩანა ბრეგვაძე. c) თამაზ ჩხენკელი. d) ჯემალ აჯიაშვილი.

**✓ 3. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა – „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე (......) მოეფინების:**

a) ორად. b) ტოლად. c) შორად. d) სწორად.

**✓ 4. 70-იან წლებამდე ძალოსნობაში იყო სამჭიდი და არა ორჭიდი. სამი მოძრაობის ჯამში 700 კგ პირველმა დააგროვა**

a) იური ვლასოვმა. b) ვასილი ალექსეევმა. c) დავიდ რიგერტმა. d) ლეონიდ ჟაბოტინსკიმ.









**✓ 5. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, რა მოხდა „1905 წელში“:**

a) რუსეთში დაიწყო სტოლიპინის რეფორმები. b) გადაიღეს პირველი რუსული ფილმი. c) კატა მოკვდა რუსეთში. d) რუსეთის იმპერიამ შუა აზია შემოიერთა.

**✓ 6. რა არის „უფიცი“:**

a) ფიცის გამტეხი კაცი. b) ფლორენციის სამხატვრო გალერეა. c) ბაშკირეთის დედაქალაქის მკვიდრი. d) ერთ-ერთი საჭადრაკო დაცვის „ნათლია“.

**✓ 7. რომელია ზედმეტი:**

a) სურდოპედაგოგიკა. b) მელომანი. c) ბეთჰოვენი. d) კედელი.

**✓ 8. საბჭოურ ეპოქაში დირექტორობისათვის აუცილებელი იყო:**

a) 26 კომისრის იდეოლოგია. b) სულ ცოტა 26 ხელქვეითის ყოლა. c) 26 კოლეგის მხარდაჭერა მაინც. d) „26 ბ“-ს მიღება.

**✓ 9. 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში რაფიელ ჩიმიშკიანი იყო:**

a) ბაქოელი. b) სოხუმელი. c) ბათუმელი. d) თბილისელი.

**✓ 10. „ჭინჭრაქას“ დევს ეშინოდა:**

a) გოლიათის. b) ბუმბერაზის. c) გიგანტის. d) ურჩხულის.

**✓ 11. საქართველოში „საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის“ წოდება პირველად მიენიჭა:**

a) დავით გონდაურს. b) გრიგოლ კობახიძეს. c) ივანე კაკაბაძეს. d) გოგი ღლონტს.

**✓ 12. ენათა ინდოევროპულ ჯგუფს არ განეკუთვნება:**

a) სომხური ენა. b) ლიტვური ენა. c) უნგრული ენა. d) პორტუგალიური ენა.

**✓ 13. „ჩამოასხით, ერთიც უნდა დავლიო:**

a) „ჰარი, ჰარალე, დავლიო!“. b) „აი-ბალამ-ბალამ, დავლიო!“. c) „რირა-ვორერა, დავლიო!“. d) „დიელი-დალალე, დავლიო!“.

**✓ 14. რომელია ზედმეტი:**

a) ტელეკომი. b) რაიკომი. c) ალმასკომი. d) პარტკომი.

**✓ 15. იხილეთ ფოტოები და გაარკვიეთ – რომელი არ ყოფილა წარმოდგენილი ჩვენი რუბრიით – „ტოპ-მოდელების სამყაროში“**

# ყურადღება!!!

**მიმდინარე ზაფხულის ე.წ. „მკვდარი სეზონის“ გამოისობით ჩვენი გაზეთი ივლისში გამოვა მხოლოდ ორჯერ – 6 და 20 რიცხვებში და იქნება სამშაბათისა და პარასკევის გაერთიანებული ვარიანტი შესაბამისად დიდი მოცულობით და 50 თეთრამდე გაზრდილი ფასით.**





გასული ნომრის იაპონური ნახატები

ი/ს „ფანტაზია-2000“
(ნატალია ბერიკიშვილი)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 5/1-2304
ტელეფონი - 79-53-70
(8-77) 72-61-18, (8-77) 45-19-80
e-mail: sashiko45@hotmail.com
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით